





## სარჩევი

|  |    |
|--|----|
| შესავალი.....  |    |
| ინსტიტუციური რეფორმა.....  | 4  |
| მწვანე ეკონომიკა .....   | 5  |
| ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.....                     | 6  |
| საერთაშორისო თანამშრომლობა.....                                      | 8  |
| წყლის რესურსების მართვა.....   | 9  |
| წყლის რესურსების მონიტორინგი.....                                    | 9  |
| მდინარეთა სააუზო მართვის გეგმები.....                                | 10 |
| საერთაშორისო თანამშრომლობა.....                                      | 10 |
| 2013-2014 წლების განმავლობაში განხორციელებული სხვა ღონისძიებები..... | 11 |
| სატყეო სექტორი .....   | 12 |
| 2013- 2014 წლებში განხორციელებული სხვა ღონისძიებები.....             | 13 |
| მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები.....                          | 13 |
| ბიომრავალფეროვნების დაცვა .....                                      | 15 |
| 2013-2014 წლებში განხორციელებული სხვა ღონისძიებები.....              | 16 |
| დაცული ტერიტორიები .....   | 16 |
| 2013-2014 წლების განმავლობაში განხორციელებული სხვა ღონისძიებები..... | 17 |
| ეკო-ტურიზმის განვითარება და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია .....  | 18 |
| ატმოსფერული ჰაერი.....   | 20 |
| საკანონმდებლო ცვლილებები .....                                       | 21 |
| ჰაერის ხარისხის მონიტორინგის და შეფასების სისტემები .....            | 21 |

|   |           |
|---|-----------|
| საერთაშორისო ვალდებულებები და ასოცირების ხელშეკრულება ..... | 22        |
| 2013- 2014 წლებში განხორციელებულისხვა ღონისძიებები .....    | 222       |
| <b>ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება .....</b>             | <b>23</b> |
| <b>მიწის რესურსებისა და წიაღის მართვა.....</b>              | <b>25</b> |
| <b>ნარჩენების მართვა .....</b>                              | <b>26</b> |
| მიმდინარე და დასრულებული პროექტები.....                     | 28        |
| 2013-2014 წლებში განხორციელებული სხვა ღონისძიებები .....    | 29        |
| <b>ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვა.....</b>         | <b>31</b> |
| <b>კლიმატის ცვლილება.....</b>                               | <b>35</b> |
| 2013- 2014 წლებში განხორციელებული სხვა ღონისძიებები.....    | 36        |
| <b>გარემოსდაცვითი ზედამხედველობა.....</b>                   | <b>37</b> |
| გამოვლენილი სამათალღარღვევები .....                         | 38        |
| <b>გარემოზე ზემოქმედების ნებართვები.....</b>                | <b>41</b> |
| 2013- 2014 წელს განხორციელებული სხვა ღონისძიებები.....      | 42        |
| <b>გარემოს ეროვნული სააგენტო .....</b>                      | <b>43</b> |
| სერვისები.....  | 44        |
| გარემოს მონიტორინგის სისტემები .....                        | 44        |
| წიაღი .....   | 46        |
| <b>გარემოსდაცვითი განათლება და ინფორმაცია .....</b>         | <b>47</b> |
| <b>საზოგადოების ჩართულობა .....</b>                         | <b>48</b> |
| <b>სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები .....</b>          | <b>50</b> |
| <b>საჯარო სამართლის იურიდიული პირები.....</b>               | <b>51</b> |

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ანგარიში მოიცავს დეტალურ ინფორმაციას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2013-2014 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული ანგარიში იძლევა საშუალებას ობიექტური ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებას.

სამთავრობო პროგრამაში - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება განსაზღვრულია ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებად.

## ინსტიტუციური რეფორმა

განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად შეიქმნა:

- სატყეო პოლიტიკის სამსახური;
- მიწის რესურსების მართვისა და წიაღის სამსახური;
- ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების მართვის სამსახური;
- სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი;
- მდგრადი განვითარებისა და ევროინტაგრაციის პოლიტიკის სამმართველო;
- საერთაშორისო პროექტების კოორდინაციის სამმართველო;
- ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სამმართველო.
- სამინისტროს ცენტრალურ აპარატს მიუერთდა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი.

აღდგა:

- სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო;
- სსიპ - სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა;
- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;
- ლიცენზირების დეპარტამენტი.

ახალი საკვანძო საოპერაციო მიმართულებები:

- ბიომრავალფეროვნების დაცვა;
- ტყის მართვა;
- წყლის რესურსების მართვა;
- მიწისა და წიაღისეული რესურსების მართვა;
- გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირება;
- კლიმატის ცვლილებაზე რეაგირება;
- ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების მართვა;
- გარემოსდაცვითი განათლება;
- ატმოსფერული ჰაერის დაცვა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასება და რეგულირება;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობა;

- ბუნებრივი რესურსების ლიცენზირება;
- დაცული ტერიტორიების მართვა.

## მწვანე ეკონომიკა

მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ მთავრ პრიორიტეტს, როგორც ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორს. ამ მიმართულებით საქართველოში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები როგორც პოლიტიკის შემუშავების თვალსაზრისით, ასევე კონკრეტული პროექტების განხორციელებით.

- გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მხარდაჭერით პირველად მიმდინარეობს ქვეყანაში გარემოსდაცვითი მმართველობის ეკონომიკურ ჭრილში შეფასება „გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შეფასების მესამე მიმოხილვის“ (Environmental Performance Review) ფარგლებში, რომელიც გაანალიზებს საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. მსოფლიო ბანკის მიერ უკვე შემუშავებულია „საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტის“ სამუშაო ვერსია, რომელშიც შეფასებულია გარემოსდაცვითი მმართველობა, გარემოს დეგრადაციისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სოციალური და ეკონომიკური დანახარჯები, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის პოლიტიკის დაგეგმვას;
- გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მხარდაჭერით განხორციელდა „ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის“ (TEEB) პირველადი კვლევა, განისაზღვრა ბუნებრივ კაპიტალსა და ეკოსისტემების სერვისებზე დამოკიდებული ეკონომიკის ძირითადი და პერსპექტიული დარგები (ენერგეტიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და სატყეო სექტორი), შემუშავდა რეკომენდაციები ქვეყნების განვითარების გეგმებში ბუნებრივი რესურსების ღირებულების სათანადოდ გათვალისწინების მიზნით.
- მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობის მიზნით 2013 წელს საქართველოში დაიწყო პროგრამა „მწვანე ეკონომიკა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (EaP Green) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE)-, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) და ევროკომისიის (EC) მხარდაჭერით, რაც მიზნად ისახავს ქვეყანაში მწვანე ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის

მექანიზმების განვითარებას, მდგრადი წარმოებისა და მოხმარების პრინციპების დანერგვას.

- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით, 2015 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კოორდინაციით და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) თანამშრომლობით დაიწყო ახალი პროექტი „მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გარემოსათვის მისაღები ქმედებების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება 400 საწარმოს კვლევა და მოხდება მათი გარემოსდაცვითი მიმართულებების შესწავლა.

## ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია

ქვეყანაში გარემოს მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად ეტაპობრივად იწერება ევროპული გარემოსდაცვითი პრინციპები და სტანდარტები. საქართველო აგრძელებს ორმხრივი და მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

აღსანიშნავია ევროკავშირთან დაახლოების პროცესში გარემოსდაცვითი მიმართულებით უკვე განხორციელებული აქტივობები. კერძოდ, 2014 წლიდან ძალაში შევიდა ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების გათვალისწინებით შემუშავებული კანონი „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“, ხოლო 2015 წლიდან ძალაშია ნარჩენების მართვის კოდექსი, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან. დაწყებულია საკანონმდებლო ჰარმონიზაცია ტყის რესურსების მართვის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და რეგულირების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების, წყლის რესურსების მართვის, ატმოსფერული ჰაერის დაცვის და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიმართულებით.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით, დაიწყო „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის მომზადება, რომელიც დაფუძნებულია წყლის რესურსების სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებზე, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ თანამედროვე მოთხოვნებზე; მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი საკანონმდებლო აქტების შემუშავებაზე; ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნათა შესაბამისად, მუშავდება კანონპროექტი „სახეობებისა და ჰაბიტატების“ შესახებ; ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების უკეთ რეგულირებისა და ქვეყნის მიერ მონრეალის ოქმით ნაკისრი საერთაშორისო



ვალდებულებების შესრულების მიზნით დაინერგა ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების იმპორტ/ექსპორტის და კვოტირების სანებართვო სისტემა; შემუშავებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის შესახებ კანონპროექტის პირველადი სამუშაო ვერსია შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით (2015); მიმდინარეობს მუშაობა სევესო III დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად კანონმდებლობის ანალიზის შემუშავებაზე (2015-2016); შემუშავებულია ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ კანონპროექტის სამუშაო ვერსია, რომელიც პარლამენტს წარედგინება 2015 წლის საგაზაფხულო სესიაზე; მომზადდა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ კანონპროექტი, რომლის საფუძველზე 2015 წლის 1 ივლისიდან დაინერგება სამაცივრო და ჰაერის კონდიციონერების ტექნიკოსთა სავალდებულო სერტიფიცირების სისტემა; მიმდინარეობს ტყის შესახებ კანონის შემუშავება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის დახმარებით, შეიმუშავა დეტალური საგზაო რუკა (Roadmap) საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით. პროექტის ფარგლებში, გაანალიზდა ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი გარემოსდაცვითი ვალდებულებები, სხვა უწყებებთან გადამკვეთი საკითხები, განისაზღვრა მათი აღსრულების პერიოდულობა და თანმიმდევრობა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების მიხედვით. საგზაო რუკა მოიცავს ცხრა სექტორულ მიმართულებას. საგზაო რუკის სექტორული მიმართულებებია: გარემოსდაცვითი მმართველობა; ჰაერის ხარისხი; წყლის ხარისხი და წყლის რესურსების, მათ შორის საზღვაო გარემოს მართვა; ნარჩენების მართვა; ბუნების დაცვა; სამრეწველო დაბინძურება და სამრეწველო საფრთხეები; ქიმიურ ნივთიერებათა მართვა; კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები (რომელიც მოიცავს ოზონდამშლელი ნივთიერებების მართვასაც); ტყის მართვა.

აღნიშნული საგზაო რუკა სამინისტროს საშუალებას აძლევს განახორციელოს ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების პროცესი ასოცირების შესახებ შეთანხმების გარემოსა და კლიმატის შესახებ ქმედებების თავებისა და მათი დანართების, ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში შეიქმნა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სამმართველო, რომლის უშუალო ფუნქციასაც წარმოადგენს გარემოს დაცვასთან



დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული მიმართულებით სამმართველომ უკვე დაიწყო აქტიური მუშაობა.

შემუშავდა ასოცირების შესახებ შეთანხმების გარემოსდაცვითი თავების განხორციელების 2014 და 2015 წლების სამოქმედო გეგმა; ასევე მომზადდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გარემოსდაცვითი ნაწილის განხორციელების სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2014-2017);

გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიასთან (UNECE) ერთად დაიწყო მუშაობა ქვეყნის გარემოსდაცვითი საქმიანობის ეფექტიანობის მესამე მიმოხილვის დოკუმენტზე (EPR). UNECE-ის ექსპერტები დაიწყებენ გარემოსდაცვითი მმართველობის სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასებას. გაანალიზდება წინა შეფასების რეკომენდაციების განხორციელება, შესაბამისად მიღწეული პროგრესი და მომზადდება რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის ქვეყანაში გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების კუთხით.

## საერთაშორისო თანამშრომლობა

გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები: შეთანხმება ბულგარეთის რესპუბლიკის გარემოსა და წყლის სამინისტროსთან; ურთიერთგაგების მემორანდუმი კორეის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროსთან. ასევე, გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და შპს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან საქართველოში სატყეო სექტორის მხარდასაჭერად თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

ინიცირებულ იქნა ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება შემდეგ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან: ავსტრიის რესპუბლიკა, არგენტინის რესპუბლიკა, ფინეთის გეოლოგიური კვლევის ცენტრი, ჩეხეთის გეოლოგიური კვლევის ცენტრი, და ჩეხეთის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი.

## წყლის რესურსების მართვა

სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებზე დაფუძნებული წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის ეტაპობრივი დანერგვის მიზნით, ასევე წყლის მონიტორინგის სისტემის გაძლიერებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისთვის და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებასთანშესაბამისობის მიზნით, წყლის რესურსების მართვის სამსახური 2013-2014 წლებში მუშაობდა წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე. შემუშავდა “წყლის რესურსების მართვის შესახებ” კანონპროექტი, რომლის საქართველოს პარლამენტში წარდგენაც დაგეგმილია 2015 წლის სექტემბერში. კანონპროექტი დაფუძნებულია წყლის რესურსების სააუზო მართვის პრინციპებზე, წყლის ჩარჩო დირექტივისა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ კი გულისხმობს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის დამკვიდრებას. 2015 წლის სექტემბერშივე მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება რიგი კანონქვემდებარე აქტები, „მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის სააუზო ტერიტორიული ერთეულების საზღვრების დამტკიცების შესახებ“, „წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესის შესახებ“; „მდინარეთა სააუზო აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“; „სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შემადგენლობა და საქმიანობის წესის შესახებ“ და „წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესის შესახებ“. წყლის რესურსების სააუზო მართვაზე გადასვლა ითვალისწინებს თითოეული მდინარის აუზის მდგომარეობის აღწერასა და სტატუსის მინიჭებას, რაც საბოლოო ჯამში მიმართულია მდინარის აუზში კარგი სტატუსის მიღწევისაკენ ან ასეთი სტატუსის მინიჭების შემთხვევაში შენარჩუნებისაკენ. სტატუსის მინიჭების დროს ყურადღება ექცევა მდინარის აუზის ქიმიურ და ეკოლოგიურ/ეკოსისტემის მდგომარეობას. კანონპროექტი ასევე გულისხმობს წყალსარგებლობის ნებართვის შემოტანას, რაც შესაძლებელს გახდის დამკვიდრდეს წყლის რესურსების მდგრადი მართვა და შესაბამისად რაციონალური მოხმარება.

## წყლის რესურსების მონიტორინგი

ყოველწლიურად ფართოვდება ზედაპირული წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელი: 2014 წლიდან წყლის სინჯების აღება წარმოებს 40 ობიექტზე (მდინარე/ტბა), 69 წერტილში (2013 წელს სინჯების აღება წარმოებდა 26 წყლის ობიექტზე, 41 წერტილში;

- 2014 წელს დაწყებულია მიწისქვეშა წყლების სისტემატური მონიტორინგი ალაზანი-აგრიჩაის მიწისქვეშა წყლების საბადოზე (მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი 1990-2013 წლების პერიოდში პრაქტუკულად არ ხორციელდებოდა);
- პირველად საქართველოში, დაწყებულია წყლის ხარისხის ჰიდრობიოლოგიური და ჰიდრომორფოლოგიური მონიტორინგი, რაც საბოლოოდ წყლის ობიექტების ეკოლოგიური სტატუსის დადგენის საშუალებას მოგვცემს ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე და საფუძველი იქნება წყლის რესურსების მართვის სფეროში სწორი გადაწყვეტილებების მიღებისთვის.
- სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტების ფარგლებში სსიპ - „გარემოს ეროვნული სააგენტო“ იღებს მნიშვნელოვან ტექნიკურ და მეთოდურ დახმარებას, რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში წყლის ხარისხის მონიტორინგის სფეროში საქმიანობის მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან. ათვისებულია წყლის ხარისხის მონიტორინგის თანამედროვე მეთოდები (ISO), მომზადებულია სახელმძღვანელო დოკუმენტები მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის ჩატარებაზე, ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგის ჩატარებაზე, რისკის ქვეშ არსებული წყლის ობიექტების კლასიფიკაციაზე და სხვა.

#### მდინარეთა სააუზო მართვის გეგმები

„საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოს დაცვაზე“ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მზადდება მდ. ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო მართვის გეგმისა და ამ აუზის მდინარეების კარგი სტატუსის მიღწევისთვის საჭირო ღონისძიებათა გეგმის პროექტი (დაწყებულია 2014 წ., დამთავრდება 2015 წ.). 2014 წელს ჩატარდა საპილოტე აუზის მდგომარეობის ანალიზი, არსებული წყლის ობიექტების კლასიფიკაცია და რისკის ქვეშ არსებული წყლის ობიექტების დადგენა.

#### საერთაშორისო თანამშრომლობა

- სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორცაა შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის სამდივნო, ევროკავშირი, ევროპის ეკონომიკური კომისიის „ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების გამოყენებისა და დაცვის კონვენციის“ და „წყალი და ჯანმრთელობა“ ლონდონის ოქმის სამდივნო, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების

სააგენტო (USAID), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), აგრეთვე მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი).

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად 2014 წელს ინიცირებულია „წყალი და ჯანმრთელობაზე“ ლონდონის ოქმის რატიფიცირების პროცესი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან მის შემდგომ ინტეგრაციას, აგრეთვე სახელმწიფოს მისცემს დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვის შესაძლებლობას. მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა კონსულტაციები დაინტერესებულ სამინისტროებთან. დღეისათვის ეს პროცესი გრძელდება.
- „მდ. მტკვარ-არაქსის აუზში ტრანსსასაზღვრო დეგრადაციის შემცირებაზე“ GEF-UNDP-ს პროექტის დახმარებით შემუშავებულია „წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სტრატეგიული სამოქმედო პროგრამა (აზერბაიჯანი-საქართველო)“. 2014 წელს ეს დოკუმენტი მოწონებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის და აზერბაიჯანის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ როგორც საგზაო რუკა (roadmap) მდ. მტკვრის აუზში წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვისთვის.
- 2013-2014 წლებში გაგრძელდა მუშაობა წყლის რესურსების მართვის სფეროში საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი სამთავრობათაშორისი ხელშეკრულების მომზადებაზე: ტექნიკური ექსპერტების ბოლო (მეექვსე) შეხვედრა აზერბაიჯანის მხარესთან. ჩატარდა 2014 წლის იანვარში ქ. ბაქოში. ამას გარდა, ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოში -საგარეო საქმეთა, სოფლის მეურნეობის, ენერჯეტიკის სამინისტროებთან საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.
- წყლის რესურსების გამოყენების სფეროში ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ინტერსექტორული თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით UNECE-ს მხარდაჭერით აზერბაიჯანის მხარესთან ერთად ჩატარდა ტრანსსასაზღვრო მდ. ალაზნის აუზში წყალი-სურსათი-ენერჯეტიკა-ეკოსისტემების ურთიერთქმედების კვლევა/შეფასება (nexus study). კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ძირითადი წყალმოსარგებლე სექტორების (ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, წყალმომარაგება) წარმომადგენლები როგორც საქართველოს, აგრეთვე აზერბაიჯანის მხრიდან. შედეგების პრეზენტაცია გაკეთდა UNECE-ს „ტრანსსასაზღვრო მდინარეებისა და საერთაშორისო ტბების გამოყენებაზე და დაცვაზე“ კონვენციის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე.

### 2013-2014 წლების განმავლობაში განხორციელებული სხვა ღონისძიებები

- სამსახურის მიერ ჩატარებულია შესაბამისი კონსულტაციები მეწარმეებისთვის ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღებაზე ტექნიკური რეგლამენტების

პროექტების შემუშავების საკითხებზე, 2013-2014 წლებში განხილულია და შეთანხმებულია ტექნიკური რეგლამენტები 309 წყალმოსარგებლე ობიექტისთვის;

- განხილულია და შეთანხმებულია ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები 53 ობიექტისთვის;
- კომპეტენციის ფარგლებში განხილულია 152 ობიექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მომზადებულია შესაბამისი დასკვნები;
- მიღებულია წყალმოსარგებლე ობიექტებიდან და დამუშავებულია 900-მდე წყლის გამოყენების სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიში. ქვეყანაში წყლის რესურსების გამოყენების სტატისტიკის არსებული სისტემის მოდერნიზაციისა და გაუმჯობესების მიზნით "ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა წყალშემკრებ აუზებში-პროგრამა საქართველოსთვის" (INRMW) USAID-ის პროექტის დახმარებით შემუშავებულია წინადადებები წყალსარგებლობის სახელმწიფო ანგარიშგების ახალი სტატისტიკური ფორმების დანერგვაზე (პერსპექტივაში აღნიშნული ანგარიშების ონლაინ რეჟიმში მიღების გათვალისწინებით) და ანგარიშების დამუშავების ახალი კომპიუტერული პროგრამა თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მათ შორის GIS-ის სისტემის გამოყენებით. დაგეგმილია 2015 წლის ბოლოსთვის ანგარიშგების ახალი სისტემის დანერგვა, რაც მოგვცემს წყალმომხმარების შესახებ უფრო სრულყოფილ და ხარისხიან სურათს. აგრეთვე, შემცირდება დრო მონაცემთა მიღებისა და დამუშავებისთვის.
- შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით აშენდა ქ. ბათუმის მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2015-2018 წლებში მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა დაგეგმილია ანაკლიაში, მესტიაში, ფოთში, თელავში, ურეკსა და წყალტუბოში.

## სატყეო სექტორი

სატყეო სექტორის რეფორმირების მიზნით, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ტყეების მდგრადი მართვის სისტემის დანერგვისა და მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისკენ და ტყის მართვისთვის პასუხისმგებელი ინსტიტუციების გაძლიერებისათვის

შემუშავდა და 2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა ეროვნული სატყეო კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს



ქვეყნის სატყეო სექტორის სამომავლო განვითარებისათვის. გაიმიჯნა სატყეო პოლიტიკის მართვისა და ზედამხედველობის ფუნქციები. სატყეო რეფორმის ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეთა სრული ჩართულობით, მიმდინარეობს ეროვნული სატყეო (NFP) შემუშავების პროცესი და დაიწყო ტყის მდგრადი მართვის ეროვნული პრინციპების შემუშავება, რომელთა მიზანია:

- მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური დანიშნულების გათვალისწინებით;
- ტყის ეკოსისტემების აღდგენა;
- ტურიზმი და რეკრეაცია;
- სატყეო მიწების სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა;
- მერქნული და არამერქნული რესურსებით რაციონალური სარგებლობა;
- მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთი ღონისძიებების მასშტაბები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება-გაუმჯობესებას, შედეგად:
- აღდგა 2008 წლის ომის დროს ნახანძრავი 76 ჰა. ტერიტორია ბორჯომის ხეობაში (დაირგო 168 000 ნერგი);
- შემუშავდა კოლხური ბზის გადარჩენის გეგმა;
- განხორციელდა ტყის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები;
- დაიწყო ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები.

### 2013- 2014 წლებში განხორციელებული სხვა ღონისძიებები

- მოეწყო ახალი 20,9 კმ გზა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 28,34 კმ;
- სსიპ - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ დაიწყო ხე-ტყის დამზადება (3000 მ3), საპილოტე პროექტი განხორციელდა რაჭაში;
- განხორციელდა ტყის ინვენტარიზაცია: ბორჯომი-ბაკურიანი (45 000 ჰა); ხარაგაული (48 000 ჰა);
- მოეწყო 8 ახალი სანერგე მეურნეობა - მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, გურია (2 წითელი ნუსხის სახეობებისთვის); 2 წლის შემდეგ სანერგეებიდან მიიღება 500 000 ნერგი; სართიჭალის სანერგე -350 548 ნერგი გადასცა მუნუციპალიტეტებს.
- დადგინდა ტყითსარგებლობის სტანდარტები;
- დაინერგა მოსახლეობის შემოთ მომარაგების ეფექტიანი სისტემა;
- გაუმჯობესდა სამასალე მერქნის გაცემის პროცედურები.

### მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები

- „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა შედეგად პირველად კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა ტყითსარგებლობის შემთხვევაში ტყითმოსარგებლის მიერ საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება;
- შეჩერდა გრძელვადიან ტყითსარგებლობაზე ლიცენზიების გაცემა სალიცენზიოდ გასაცემი ფართობის ინვენტარიზაციის (ტყის აღრიცხვის) გარეშე;
- აღდგა ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტების შევსების, ხე-ტყის დამზადების, ლიცენზიანტებისა და მრგვალი მორის სახერხი საამქროების ანგარიშგების ვალდებულება.
- გამკაცრდა სანქციები ბრაკონიერობისათვის;
- მოსახლეობაში მერქნული რესურსების სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფის მიზნით, შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის #242 დადგენილებაში, რომლის თანახმად, დაწესდა ზღვარი კომლზე გასაცემ საშუაზე მერქანზე, შეიცვალა ხე-ტყის დამზადების ბილეთის ვადა და დაიხვეწა სამასალე მერქნის გაცემის პროცედურა, წლის განმავლობაში გასაცემი საშუაზე მერქნის რაოდენობა გაიზარდა მაღალმთიანი რეგიონებისთვის 15 მ<sup>3</sup> -მდე. ერთ კომლზე, ხოლო სხვა რეგიონებისთვის 7 მ<sup>3</sup>.-მდე, აღსანიშნავია, რომ 1 947 მ<sup>3</sup> შუშა გადაეცა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას;
- ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმების და ინდიკატორების შესახებ კანონქვემდებარე აქტის პროექტი საქართველოს მთავრობას წარედგინება 2016 წლის დასაწყისში. თანამედროვე ტექნოლოგიებით ჩატარებული ტყის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება უწყების ელექტრონულ პორტალზე 2016 წლიდან. 2016 წლის მარტისთვის შემუშავებულ იქნება ტყის კოდექსის პროექტი, ასევე, 2015 წლის ბოლოსთვის შემუშავებულ იქნება საქართველოს სატყეო ტერიტორიის ზონირებისა და კატეგორიზაციის შესახებ კანონპროექტი;
- მიმდინარეობს მუშაობა ტყის შესახებ კანონზე;
- მომზადებულია „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის #132 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი. მიმდინარეობს ცვლილებებზე მუშაობა ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობის რეგულირების მიზნით;
- საქართველოს პარლამენტთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს კანონზე ქარსაფარი ზოლების შესახებ. მოხდა პირველი პროექტის განხილვა;
- მიმდინარეობს მუშაობა ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობის დადგენილებაზე;



## ბიომრავალფეროვნების დაცვა

„ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის“ (2014-2020) შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების სახით ქვეყანაში ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის შემუშავების მიზნით, მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით სამინისტროს მიერ გადადგმული ნაბიჯები. „ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2020“, რომელიც დამტკიცდა 2014 წლის 8 მაისს, ეფუძნება ბიომრავალფეროვნების კარგვის შემცირებისა და დაცვისაკენ მიმართულ ახლებურ და პროგრესულ ხედვას იმ მიზნით, რომ 2020 წლისთვის უზრუნველყოფილი იყოს ეკოსისტემების მდგრადობა და მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისების უწყვეტი მოწოდება. დაიწყო ქმედებები ამ დოკუმენტის განათლების კომპონენტის დანერგვის მიზნით. მიმდინარეობს შეხვედრები ექსპერტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან;

2014 წლისთვის უკვე ჩამოყალიბებულ იქნა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა. აღნიშნული სისტემის ფარგლებში მონიტორინგს და აღრიცხვებს დაექვემდებარა შემდეგი სახეობები: ჯიხვი (დასავლეთ კავკასიური და აღმოსავლეთ კავკასიური), არჩვი, ირემი, ნიამორი, კავკასიური როჭო, კალმახი და სხვა.

2014 წლიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „ცოცხალი გენმოდდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს:

- გარემოში ინტროდუქციის აკრძალვას;
- ჩაკეტულ სისტემებში გამოყენების მოწესრიგებას;
- ტრანსსასაზღვრო გადაზიდვების რეგულირებას;
- აიკრძალა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველებზე ნადირობა, ხოლო ნადირობა დაშვებულ იქნა მხოლოდ: სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ტერიტორიებზე-სამონადირეო მეურნეობებში;
- გადამფრენ ფრინველებზე ნადირობასთან დაკავშირებით შეტანილი იქნა ცვლილებები „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 27 დეკემბრის #95 ბრძანებაში, რის საფუძველზეც ნადირობის ობიექტებს დაემატა 4 სახეობის ფრინველი, დადგინდა მათი მდგრადი მოპოვებისათვის კვოტები და გაიმძღვნა ვადები იმის გამო, რომ მაღალმთიან რეგიონებში წყალსატევები იყინება, შესაბამისად დადგინდა

განსხვავებული მოპოვების ვადები ამ რეგიონებსა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებზე;

- მუშავდება სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი;
- მომზადდა წინადადებები სამონადირეო მეურნეობებისათვის მართვის გეგმების დამტკიცების მიზნით;
- მომზადდა წინადადებები თევზჭერისა და სამონადირეო მეურნეობებისათვის 2013-2014 წლის სეზონისათვის ცხოველთა სახეობების მოპოვების კვოტების დამტკიცებასთან დაკავშირებით. კვოტები დაუმტკიცდა 10 სამონადირეო და 2 თევზის მეურნეობას;

### 2013-2014 წლებში განხორციელებული სხვა ღონისძიებები

- გაიცა „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის 48 ნებართვა;
- მომზადდა დოკუმენტები თეთრყვავილას ბოლქვებით ვაჭრობის თაობაზე, CITES-ს კონვენციის მცენარეთა 21-ე კომიტეტზე და ევროკავშირის CITES-ის სამეცნიერო ორგანოზე გასატანად;
- მიმდინარეობს მუშაობა ჯავახეთის ტბების საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების ნუსხაში ჩართვის მიზნით;
- მცენარეთა ინვაზიური სახეობების შეფასების, 50 ყველაზე აგრესიული სახეობის ნუსხის განსაზღვრის და არეალების რუკების შედგენის მიზნით განხორციელდა პროექტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით. სამინისტროში წარმოდგენილი იქნა პროექტის შედეგები;
- შემუშავდა ცხოველთა სახეობების მონიტორინგის ხუთწლიანი გეგმა.

### დაცული ტერიტორიები

დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოვებისა და მათი მართვის გაუმჯობესების მიზნით, ასევე მასთან დაკავშირებული ეკოტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად აღსანიშნავია, რომ 2014 წელს შეიქმნა 17 ახალი ბუნების ძეგლი, 1 აღკვეთილი და 1 ეროვნული პარკი. დაარსდა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები (ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი, რომლის ბუნების ძეგლი და ასის აღკვეთილი) 79904,4 ჰა ტერიტორიაზე.

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლის შედეგად, შესაძლებელი გახდა

დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაცია, დაცული ტერიტორიების დემარკაციის პროცესი (რაც გულისხმობს საზღვრების დადგენას, კორექტირებასა და გაფართოებას) დაიწყო 2014 ში და დასრულდება 2015 წლის მაისში. უკვე დასრულებულია ბორჯომ-ხარაგაული, თბილისის ეროვნული პარკი, გარდაბნის აღკვეთილი, კოლხეთის ეროვნული პარკი, ქობულეთის დაცული ტერიტორია, კაცობურის აღკვეთილი. 2013 წელს შეიქმნა 16 ბუნების ძეგლი, ხოლო 2014 წელს 1 ბუნების ძეგლი, 1 აღკვეთილი და 1 ეროვნული პარკი დაცული ტერიტორიების დემარკაციის შედეგად 2014-2015 წლებში დაცული ტერიტორიების საზღვარიდან გაიმიჯნება ყველა კერძო საკუთრება, რომელიც გადაფარვაშია ამჟამად არსებულ დაცული ტერიტორიების საზღვრებთან ეს ტერიტორიებია: თბილისი; გარდაბანი; მცხეთა; თიანეთი; ბორჯომი; ადიგენი; ხარაგაული; ბაღდათი; ახალციხე; ხაშური; საგარეჯო; სიღნაღი; დედოფლისწყარო; ქობულეთი; ფოთი; ლანჩხუთი; სენაკი; ხობი; ზუგდიდი; აბაშა; მარტვილი; ახმეტა. აღნიშნული პროცესი საშუალებას იძლევა გასწორდეს დაცული ტერიტორიების საზღვრები, რათა მოიხსნას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან არსებული გადაფარვების პრობლემა.

### 2013-2014 წლების განმავლობაში განხორციელებული სხვა ღონისძიებები

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ რეინტროდუქციის მიზნით შემოყვანილ იქნა 20 ჯეირანი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე;
- დაიწყო წითელი ნუსხის სახეობების დაცვა და მონიტორინგი (45 ფოტოხაფანგი);
- თუმეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებულ ფიჭვნარ ტყეებში განთავსდა 730 ერთეული ფერომონი, ფიჭვებში გავრცელებულ მავნე მწერებთან საბრძოლველად;
- თბილისის ეროვნული პარკში დაიკვიდა 200 ცალი ფერომონი ფიჭვნარ კორომებში ფიჭვის ხმობის თავიდან აცილების მიზნით;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში განთავსდა 275 ცალი ფერომონი წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნებლებთან ბრძოლის საწინააღმდეგოდ;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში დაიწყო წითელ ნუსხაში შემავალი სახეობათა ინდივიდების დადგენის პროექტი;

კოლხეთის ეროვნულ პარკში განხორციელდა:

- იქთიოლოგიის მონიტორინგის პროგრამა;
- ზუთხის პოპულაციის შეფასების მონიტორინგის პროგრამა;
- მოზამთრე წყალმცურავების მონიტორინგი;

- ყულევის ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ფლორისტული სახეობების შეფასების და ბოტანიკური ობიექტების კონსერვაციის გეგმის შემუშავების მონიტორინგის პროგრამა;
- კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მობუდარი ფრინველების აღრიცხვა;
- კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე (მათ შორის ჭურიაზე) ფრინველთა დარგოლვის ანგარიში;
- შავი ზღვის ვეშაპისნაირთა მონიტორინგი;
- ძუძუმწოვრების (ზღვის ძუძუმწოვრების გარდა) მონიტორინგის პროგრამის შემუშავება;
- ჰიდროლოგიური რეჟიმის მონიტორინგის პროგრამის სისტემა დანერგვა (იმნათის უბანი - 5 სადგური);
- ყულევის რკინიგზის გასწვრივ ღამურების თავშესაფრების (21 ცალი) მოწყობა;

2013-2014 წწ-ში თუშეთის, ვაშლოვანისა და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე დაიწყო სამოვრების მდგომარეობის შეფასება, რომლის ფარგლებშიდაც მომზადდება სამოვრების მენეჯმენტის გეგმა;

დაცული ტერიტორიის ინფრასტრუქტურის შექმნა/რეაბილიტაცია (ლაგოდეხი, თუშეთი, ვაშლოვანი, ბორჯომ-ხარაგაული, მტირალა).

- ახალი ტურისტული პროდუქტები (UNWTO):
- 5 დაცული ტერიტორია: ლაგოდეხი, ვაშლოვანი, მტირალა, კოლხეთი, თბილისი;
- 9 ტურისტული პროდუქტი: ტურისტული ბილიკი, გეოლოგიური ბილიკი;
- Zip line და კანიონინგი, ნიჩბოსნობა, ველო ბილიკი.
- შემოსავლებისა და ვიზიტორთა სტატისტიკა:
- ვიზიტორთა სტატისტიკა: ზრდა 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 47%; შემოსავლების სტატისტიკა (GEL): ზრდა 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 82%.

დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით:

- დამტკიცადა 5 მენეჯმენტის გეგმა;
- ყველა დაცული ტერიტორიისათვის შეიქმნა დროებითი რეგულირების წესი;

- ევროკავშირის დამმობილების პროექტის ფარგლებში მზადდება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების, აჯამეთის აღკვეთილის და მტირალას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმები;
- ჯავახეთის ეროვნულ პარკში - გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში აშენდა საერთაშორისო სტანდარტების მქონე ვიზიტორთა ცენტრი და მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა (საპიკნიკეები, პარკინგი, ტუალეტებიდასხვ.) ასევე განხორციელდა დამხმარე ზონის 7 სოფლისათვის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- 2014 წელს ხელი მოეწერა საკონსულტაციო კონტრაქტს GFA Consulting Group-თან, რომელიც ახორციელებს გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებულ 8.250 მილიონ ევროიანპროექტს, რომლისმიზანია 4 დაცული ტერიტორიის განვითარება;
- 2014 წლის მარტის თვეში, საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მოხდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების წარდგენა ევროდიპლომის მისანიჭებლად

#### ეკო-ტურიზმის განვითარება და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია

- სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდს დაემატა ონლაინ დაჯავშნის ფუნქცია. შემუშავდა ახალი ვებ-გვერდის კონცეფცია, სტრუქტურა და დიზაინი;
- ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე შემუშავდა ახალი პროდუქტი - „Safari Tours“;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს დაემატა ზამთრის აქტივობა - „თოვლის ფეხსაცმელებით გადაადგილება“;
- პრომეთეს მღვიმეში დაინერგა ახალი ეკო ტურისტული პროდუქტები „აუდიოგაიდი“ და ავტომატარებლით მომსახურება;
- დამთავრდა ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლის ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა (ვიზიტორთა ცენტრი და 750 მეტრი კლდეზე დაკიდებული ვანტური ბილიკი);
- განახლდა კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი;
- ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე სრულად აღიჭურვა და ოფიციალურად გაიხსნა ბუნების შემეცნებითი ბილიკი სასკოლო ჯგუფებისათვის, როჭოს ჩანჩქერისა და მაჭის ციხის ბილიკები;
- თბილისის ეროვნულ პარკში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო სამი სხვადასხვა სირთულის ველობილიკი;
- ვაშლოვანის ეროვნულ პარკში მოეწყო ორი საინტერპრეტაციო გეოლოგიური ბილიკი, რომელიც პირველი თემატური-გეოლოგიური ბილიკია საქართველოში;



- მტირალას ეროვნულ პარკში მოეწყო ახალი სათავგადასავლო აქტივობა - Zip line და კანიონინგი;
- კოლხეთის ეროვნული პარკში განვითარდა სანიჩბოსნო აქტივობა - Eco paddling, რაც გულისხმობს კაიაკებით მდინარე ფიჩორზე გადაადგილებას.

## ატმოსფერული ჰაერი

თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმების ევროკავშირის ნორმებთან ეტაპობრივად მიახლოების, ჰაერის ხარისხობრივი ნორმების ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურის მიერ განხორციელდა ქმედებები შემდეგი მიმართულებით:

### საკანონმდებლო ცვლილებები

- ოზონის შრის დამზღვევი ნივთიერებების უკეთ რეგულირებისა და ქვეყნის მიერ მონრეალის ოქმით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით 2014 წლიდან დაინერგა ოზონის შრის დამზღვევი ნივთიერებების იმპორტ/ექსპორტის და კვოტირების სანებართვო სისტემა, კერძოდ, მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის #311 დადგენილება „შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვის გაცემის წესის შესახებ დებულებისა და შეზღუდულად ბრუნვადი მასალების სიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 სექტემბრის №184 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელის საფუძველზეც 2014 წლიდან ამოქმედდა დადგენილებით დამტკიცებული დებულება ოზონდამზღვევი ნივთიერებების რეგულირების ნაწილში.
- ოზონდამზღვევი ნივთიერებებზე და ალტერნატიულ მაცივარაგენტებზე მომუშავე დანადგარების ადამიანისა და გარემოსათვის უსაფრთხოდ მოპყრობის მიზნით 2013 წელს შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს ეროვნული სტანდარტი „სამაცივრო სისტემების და თბური ტუმბოების მომსახურების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები“. სტანდარტის დაცვით გაუმჯობესდება აღნიშნული დანადგარების მომსახურების ხარისხი და შესაბამისად შემცირდება ოზონდამზღვევი ნივთიერებების და სათბურის ეფექტის მქონე მაცივარაგენტების ჰაერში გაჟონვები.
- 2014 წლიდან დაიწყო საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხობრივი ნორმების ევროსტანდარტებთან ეტაპობრივად მიახლოების პროცესი, კერძოდ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად (ცვლილებები

„საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის №124 და „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 დეკემბრის №238 დადგენილებებში.), 2015 წელს ბენზინში გოგირდის შემცველობა 3-ჯერ შემცირდა და განისაზღვრა არა უმეტეს 50 მგ/კგ-ით, ხოლო 2017 წლისთვის მისი მასური წილი გაუტოლდება ევროკავშირის სტანდარტს - 10 მგ/კგ. 2016 წლიდან კი დიზელის საწვავში გოგირდის მასური წილი განისაზღვრა არა უმეტეს 150 მგ/კგ-ით.

- **პარლამენტის 2015 წლის საგაზაფხულო სესიაზე წარსადგენად მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, კერძოდ:**
  - ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მცირე საწარმოები, რომელთა ჯამური წილი ქვეყნის მთლიან გაფრქვევებში 1%-საც კი არ შეადგენს გათავისუფლება ჰაერდაცვითი დოკუმენტის შემუშავების ვალდებულებისგან და შესაბამისად დამატებითი ბიუროკრატიული პროცედურებისგან;
  - საერთაშორისო ვალდებულებების და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულების მიზნით ფტორირებული აირების, მათ შორის ოზონდამშლელი ნივთიერებების რეგულირების სფეროში დაინერგება მემაცივრე-ტექნიკოსების სავალდებულო სერტიფიცირების სისტემა. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს დარგში კვალიფიციური მემაცივრე-ტექნიკოსების რაოდენობის გაზრდას, სამაცივრო და ჰაერის კონდიციონერების დანადგარების გარემოსა და ადამიანისთვის უსაფრთხო და კვალიფიციურ მომსახურებას, რაც შეამცირებს ოზონდამშლელი ნივთიერებების და სათბურის ეფექტის მქონე მაცივარაგენტების ჰაერში გაჟონვებს.

### ჰაერის ხარისხის მონიტორინგის და შეფასების სისტემები

- 2013 წელს შეიქმნა ჰაერის ხარისხის კომპიუტერული მოდელი (ADMS-Urban) ქ. თბილისისთვის, რაც ჰაერის ხარისხის ზოგადი შეფასებისთვის ხელსაყრელ (იაფ) საშუალებას წარმოადგენს და ძალზედ მნიშვნელოვანია ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის სამომავლო გაფართოების სწორად დაგეგმვისთვის.
- 2014 წელს განხორციელდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სფეროში არსებული ნაკლოვანებების ანალიზი და შემუშავდა „საქართველოში ევროსტანდარტების შესაბამისი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის განვითარების პროგრამა“, რომლის საფუძველზეც მოხდება ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის ეტაპობრივი რეაბილიტაცია, თანდათანობითი ავტომატიზაცია და მოდერნიზაცია ევროსტანდარტების შესაბამისად;



- 2014 წელს დაიწყო ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის მოდერნიზაციის პროცესი კერძოდ, იაპონიის მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარეობს ქ. თბილისში არსებული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 3 არაავტომატური სადგურის თანამედროვე ავტომატური გამოზომი ხელსაწყოებით აღჭურვის პროცესი (NOx, SO2, O3, PM10 და PM2,5), რაც იმას ნიშნავს, რომ 2015 წლის ბოლოს ქ. თბილისის ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი იქნება სრულად ავტომატიზირებული (4 სადგური) და ხელმისაწვდომი გახდება თბილისის ჰაერის ხარისხის შესახებ სრულყოფილი და უტყუარი ინფორმაცია;
- ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის განვითარების სწორად დაგეგმვის მიზნით 2014 წელს საქართველოს 7 ქალაქის (თბილისი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, რუსთავი, ზესტაფონი, ჭიათურა) 63 წერტილში ჰაერის ხარისხის შესაფასებლად განხორციელდა ერთჯერადი ინდიკატორული გაზომვები, შედეგების საფუძველზე მომზადდა საინფორმაციო რუკა და განთავსდა სამინისტროს ვებ-გვერდზე;

#### საერთაშორისო ვალდებულებები და ასოცირების ხელშეკრულება

- 2013 წელს რატიფიცირებულ იქნა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის პირველი ოქმი „ევროპაში ჰაერის დამაბინძურებლების შორ მანძილებზე გავრცელების მონიტორინგისა და შეფასების ერთობლივი პროგრამის გრძელვადიანი დაფინანსების შესახებ“ (EMEP). აღნიშნული ოქმთან მიერთებით ევროპის 30 ქვეყანასთან ერთად, საქართველო მონაწილეობს პროგრამაში, რომლის მიზანია კონკრეტული დამაბინძურებლების ემისიების შეფასება, კონცენტრაციების გაზომვა და დამაბინძურებლების ატმოსფერული ტრანსპორტირებისა და დალექვის მოდელირება.
- 2014 წელს შემუშავდა "საქართველოს მიერ შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენციის ბოლო 3 ოქმის რატიფიკაციის და მისი ვალდებულებების შესრულების ეროვნული სამოქმედო გეგმა“, რომელიც დაეხმარება ქვეყანას, კონვენციის ოქმების რატიფიცირებასა და განხორციელებაში.

#### სხვა ღონისძიებები

- განხორციელდა დაბინძურების სტაციონარული ობიექტებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვა. საწარმოებიდან მიღებული შესაბამისი მასალების გადამუშავების და ანალიზის საფუძველზე დადგინდა 2013 წელს ქვეყნის მასშტაბით მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების, როგორც ჯამური მონაცემები, ასევე ცალ-ცალკე რეგიონების, ქალაქების და ძირითადი მსხვილი დამაბინძურებელი ობიექტების მიხედვით თითოეული მავნე ნივთიერების გათვალისწინებით;

- საბაჟო უწყებას გადაეცა ოზონდამშლელი ნივთიერებების თანამედროვე იდენტიფიკატორი, გადამზადდა 30-მდე მეზაჟე და მომზადდა 5 ტრენერი. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და გაუმჯობესებული ოდნ-ების სასაზღვრო კონტროლის შედეგად 2013-2014 წლებში გამოვლინდა ოზონდამშლელი ნივთიერებების უნებართვო იმპორტისა და მაცივარაგენტების ფალსიფიკაციის ფაქტები.
- განხორციელდა ქვეყანაში წლების მანძილზე დაგროვილი ოზონდამშლელი ნივთიერებების ნარჩენების შეგროვება, უსაფრთხოდ განთავსება და ქვეყნიდან გატანა გარემოსათვის უსაფრთხოდ განადგურების მიზნით (2014 წ.).
- ორგანული გამხსნელების სექტორში ოზონდამშლელი ნივთიერებების მოხმარებიდან საბოლოოდ ამოღების და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კვლევის საფუძველზე შერჩეულ 2 ქიმწმენდას (ქ. თბილისი და ქ. რუსთავი) სადემონსტრაციოდ, უსასყიდლოდ გადაეცა ოზონუსაფრთხო ნივთიერებაზე მომუშავე თანამედროვე დანადგარები. ამ ქმედებით 2014 წლიდან შეწყდა ქვეყანაში ორგანული გამხსნელების სექტორში ოზონდამშლელი ნივთიერებების მოხმარება და ამავდროულად აღნიშნულ საწარმოებს მიეცათ საშუალება გააგრძელონ ფუნქციონირება ალტერნატიულ ოზონუსაფრთხო ნივთიერებებზე მომუშავე დანადგარებით.

## ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის გაძლიერების მიზნით, შემცირდება ბირთვული და რადიოლოგიური საფრთხეების რისკები, მოხდება მოსახლეობის დაცვა მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისგან. შემუშავდება „რადიოაქტიური ნარჩების მართვის სტრატეგია“.

აღდგენილი იქნა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირება, განახლდა სამედიცინო და პროფესიული დასახივებისას მიღებული დოზების კონტროლი, გაძლიერდა სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი ადამიანისა და გარემოს მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით;

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში რეგულირებისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით დაიხვეწა არსებული საკანონმდებლო ბაზა. შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. ასევე შემუშავდა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები: „ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების წესი,“ „მეტალის ჯართის რადიაციული მონიტორინგის წესი,“ „მაიონებელი გამოსხივების წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების, ავტორიზაციის უწყებრივი რეესტრის შექმნისა და

წარმოების წესი, მაიონებელი გამოსხივების წყაროების კატეგორიზაცია.“ აღნიშნული პროექტები დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტებით.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტმა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ტექნიკური თანამშრომლობის დეპარტამენტთან ერთად და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით მოამზადა და ხელმოწერილ იქნა 2015-2019 წლებში ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან ტექნიკური თანამშრომლობის ჩარჩო პროგრამა. წარმატებით შესრულდა ბირთვული იარაღის გაუფრცვლელობის კონვენციით გათვალისწინებული ქმედებები. განახლდა საქართველოში არსებული ბირთვული მასალების რეესტრი, რაც ხელს უწყობს ბირთვულ ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეების შემცირებას.

2014 წლის მაისში წარმატებით განხორციელდა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს გარანტიების დეპარტამენტის ინსპექცია.

შემუშავდა გარანტიების შეთანხმების „დამხმარე დებულება“, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წელს.

მომზადდა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული(ქბრბ) საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმის ბირთვული და რადიაციული ნაწილი.

გაუმჯობესდა საქართველოში არსებული რადიოაქტიური ნარჩენების ფიზიკური დაცვის ხარისხი. კერძოდ, განხორციელდა სააკადის რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ფიზიკური დაცვისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტი.

ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ავტორიზაციის მიზნით 2013-2014 წელს გაცემულია 140 ლიცენზია და 60 ნებართვა.

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის კონტროლის მიზნით განხორციელდა 56 ობიექტის ინსპექტირება ბირთვული და რადიაციული საქმიანობის 2014 წლის გეგმური ინსპექტირების პროგრამის მიხედვით. ინსპექტირებისას გამოვლენილ დარღვევებზე შედგა 23 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

შემუშავდა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის 2015 წლის გეგმური ინსპექტირების პროგრამა.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული წლიური ანგარიშების ფორმით წარმოდგენილი იქნა 241 ანგარიში ლიცენზირებული ორგანიზაციებიდან. ანგარიშების წარმოდგენლობის გამო შედგა 167 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

რადიოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილების, მოსახლეობისა და გარემოს დაცვის მიზნით 2013-2014 წლებში ბირთვული და რადიაციული დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რეაგირება სხვადასხვა სახის 127 რადიაციულ ინციდენტზე.

საქართველოს ყველა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე დამონტაჟებულია რადიაციული მონიტორინგის პორტალები, რომლის მეშვეობითაც ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული ყველა ტვირთი გადის რადიაციულ კონტროლს. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რეაგირება რადიაციული პორტალების განგაშის 73 შემთხვევაზე.

38 რეაგირება განხორციელდა მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან სხვადასხვა სახის რადიოაქტიური საფრთხის ეჭვის საფუძველზე შემოსულ შეტყობინებაზე. შემოწმების შემდეგ რადიაციული საფრთხის კერა არ დაფიქსირებულა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის ფაქტების აღკვეთის შემდეგ განხორციელდა 16 რეაგირება, პირველადი რადიომეტრული კვლევის მიზნით. ამოღებული ნივთიერებები უსაფრთხოების ნორმების დაცვით გადატანილი იქნა და ინახება ნივთმტკიცების სახით რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალურ საცავში.

დაიწო სტრუქტურულ ცვლილებებზე მუშაობა, რომლის თანახმად განხორციელდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნა და ამავე იურიდიულის პირის მფლობელობაში გადმოვა მცხეთის რადიოაქტიური ნარჩენების საცავი და სააკადის რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი.

ვაშლიჯვარში დამონტაჟდა ჰაერში რადიოაქტიული აეროზოლების მონიტორინგის უახლესი სისტემა, აღნიშნული სისტემა ხელს შეუწყობს მოსახლეობის ადრეულ გაფრთხილებას რადიაციული საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში.

## მიწის რესურსებისა და წიაღის მართვა

გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ვალდებულებებიდან გამომდინარე, ნიადაგის ეროზიების შემცირების, გაუდაბნოების თავიდან აცილებისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნების მიზნით, მიწის რესურსების მდგრადი გამოყენების მექანიზმების შესამუშავებლად მიწის რესურსების მართვისა და წიაღის სამსახურის კოორდინაციით:

- შემუშავდა გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა 2014-2022 წლებისათვის. გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამით განისაზღვრება კონკრეტული ღონისძიებები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი



უწყებები, ასევე თითოეული ქმედების განხორციელებისათვის საჭირო ბიუჯეტი, განხორციელების ვადები და მათი დაფინანსების სავარაუდო წყაროები.

განისაზღვრა შემდეგი კონკრეტული მიზნები:

- დეგრადირებული ნიადაგების აღდგენა/შემცირება;
- ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა;
- სიღარიბის შემცირება.

15 წლის შემდეგ აღდგა ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი.

სასარგებლო წიაღისეულის მდგრადი მართვის მიზნით მომზადდა და შეიცვალა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა და დებულება;

- კომისიისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთვის მოქმედი დებულება არ იყო სრულყოფილი, იგი არ უზრუნველყოფდა ყველა დაინტერესებული პირისთვის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შედგენის ერთიან წესს;
- ვინაიდან დღეისათვის არ არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის ანგარიშის შედგენის წესი და ეროვნული ინსტრუქცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს სანდოობის მაღალი ხარისხი, კომისიამ შეიმუშავა ლიცენზიანტისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის ნუსხა, რომლის სიზუსტეზეც პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიანტს. დებულებით გათვალისწინებულ იქნა მარაგების ჩამოწერის საკითხი. რთული საბადოების მარაგების ანგარიშის განხილვის დროს კომისიის წევრებს შორის წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობის გამო კონკრეტული ანგარიშის განხილვაში შესაძლებელი გახდა დარგის დამოუკიდებელი ექსპერტის მონაწილეობა.

## ნარჩენების მართვა

ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის შექმნისა და დანერგვის მიზნით ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

### საკანონმდებლო ბაზის შემუშავება

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ნარჩენების მართვის თვინინგის პროექტის „გარემოს დაცვის სამინისტროს შესაძლებლობათა გაძლიერება ნარჩენების მართვის სისტემის შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით საქართველოში“ ფარგლებში შემუშავებული და პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საქართველოს კანონი "ნარჩენების მართვის კოდექსი"

(ძალაში შევიდა 2015 წლის 15 იანვარს), რომელიც სრულ შესაბამისობაშია ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან და ევროდირექტივების მოთხოვნებთან. კანონის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს ავსტრიელმა, ბულგარელმა და გერმანელმა საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსპერტებმა.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა კოდექსიდან გამომდინარე რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებზე.

## საერთაშორისო ვალდებულებები

კონვენციებით და ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე შემუშავდა ნორმატიული დოკუმენტების პროექტები, რომლებიც შესაბამისობაშია კონვენციების და ევროდირექტივების მოთხოვნებთან:

-შემუშავებულია „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების იმპორტის, ექსპორტისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ მთავრობის დადგენილების პროექტი,

მიმდინარეობდა მუშაობა კანონპროექტზე "საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის შესახებ",

სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმის (დამტკიცდა 2011 წელს) მიხედვით საქართველო ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს სტოკჰოლმის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად. განხორციელდა მოდ-პესტიციდებთან დაკავშირებული რამდენიმე პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე ვადაგასული პესტიციდების შეგროვება, შეფუთვა, დროებით უსაფრთხო განთავსება და შემდგომ მისი გაუვნებლობა, საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება.

## ნარჩენების მართვის დაგეგმარება

ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის შექმნის და დანერგვის მიზნით, მიმდინარეობს ნარჩენების მართვის გრძელვადიანი (15 წლიანი) ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ნარჩენების მართვის ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები, მათ შორის ქვეყანაში გასატარებელი ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირების (გადამუშავება), აღდგენის და განთავსების ღონისძიებები.

ასევე, მზადდება ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (5 წლიანი), სადაც გათვალისწინებული იქნება უახლოეს 5 წელიწადში განსახორციელებელი ღონისძიებები, განხორციელების ვადები, დაფინანსების წყაროები და სხვა.

მუნიციპალიტეტებს, ისევე როგორც მსხვილ კომპანიებს ექნებათ ვალდებულება შეიმუშაონ ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ნარჩენების მართვის ეროვნულ გეგმასთან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, სხვადასხვა სამინისტროების ჩართულობით, მათ შორის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით შემუშავდა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ კომპეტენციის ფარგლებში განხილული იქნა 130-მდე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, გაცემული იქნა ნებართვები ნარჩენების, როტერდამის კონვენციით გათვალისწინებული ქიმიური ნივთიერებების და პრეკურსორების ტრანსსასაზღვრო (იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი) გადაზიდვებზე.

### მიმდინარე და დასრულებული პროექტები

**თვინინგის პროექტი “გარემოს დაცვის სამინისტროს შესაძლებლობათა გაძლიერება ნარჩენების მართვის სისტემის შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით საქართველოში”**

პროექტი მიზნად ისახავდა ნარჩენების მართვის სისტემის განვითარებას, გაუმჯობესებას და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ხელშეწყობას საქართველოში გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. პროექტის ფარგლებში, შემუშავდა სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტების პროექტები, რომელთა მიღებაც ქვეყანაში შექმნის ნარჩენების თანამედროვე სისტემის განვითარების საფუძველს.

**პროექტი „ნარჩენების მართვა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) აღმოსავლეთ ქვეყნებში“**

პროექტი განხორციელდა ევროპის სამეზობლო პარტნიორობის ფარგლებში აღმოსავლეთ რეგიონის შვიდ ქვეყანაში (აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, რუსეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა). საქართველოში პროექტის განხორციელების მიზნით საპილოტე რეგიონად შერჩეული იქნა ქვემო ქართლის რეგიონი და ძირითადი აქცენტი გაკეთდა მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე.

პროექტის ფარგლებში ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელდა არსებული კანონიერი და უკანონო ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია და

ნაგავსაყრელებიდან გამოწვეული გარემოსდაცვითი რისკების შეფასება.

შემუშავდა ნარჩენების მართვის რეგიონული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცენტრალური (რეგიონული) ნაგავსაყრელის მოწყობას, ნარჩენების შეგროვება-გატანის მიზნით კონტეინერებისა და ნაგავშიდი სატრანსპორტო საშუალებების შეძენას და ნარჩენების გადამუშავება-რეციკლირების სისტემის დანერგვის ხელშეწყობას.



**პროექტი „ბორჯომის სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობა“**

პროექტის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ბორჯომის სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობის ტექნიკური სამუშაოები, შესაბამისი ტექნიკა (ტრაქტორი, ნაგავმზიდი მანქანა) მფლობელობაში გადაეცა ბორჯომის მუნიციპალიტეტს. ჩატარდა ტრენინგების კურსი ნაგავსაყრელის პერსონალისთვის.

**პროექტი ”დარიშხანის სამთო ნარჩენების მართვა საქართველოში”**

პროექტის ფარგლებში განხორციელებულია ამბროლაურის და ლენტეხის რაიონებში არსებული სიტუაციის შეფასება და შემუშავებულია ნარჩენების უსაფრთხო განთავსების სამოქმედო გეგმა.

პროექტის ფარგლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხო განთავსების მიზნით დაგეგმილია ორი სამარხის მშენებლობა (ურავი 1, ურავი 3), სადაც განთავსდება არსებული დარიშხანშემცველი ნარჩენები, დაბინძურებული ნიადაგი და ინერტული მასალა (ურავი1,3,4).

აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისთვის გამოიყო ტერიტორიები და განხორციელდა შემოღობვა, შეკეთდა ერთი სამარხი (ურავი 2). ასევე, ლენტეხის მუნიციპალიტეტში დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხო განთავსების მიზნით განხორციელდა ცანა 2 და ცანა 3 ტერიტორიების შემოღობვა.

**პროექტი „საქართველოში ცანას დარიშხანის სამთამადნო წარმოების და გადამუშავების ობიექტებზე ეკოლოგიური და უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირება“**

ეუთოსთან თანამშრომლობის რეჟიმში განხორციელდა დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხო განთავსების მიზნით ცანა 1 და ცანა 3-ზე ორი სამარხის სამშენებლო პროექტის მომზადება შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით. პროექტის დაფინანსების მოპოვების მიზნით მიმდინარეობს მოლაპარაკებები დონორებთან.

**პროექტი „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (მოდ) პესტიციდების განთავსება და საქართველოში არსებული მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (მოდ) პესტიციდების ლოკალიზაციის საწყისი ღონისძიებები“**

პროექტის ფარგლებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ორგანიზებით ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურთან თანამშრომლობის რეჟიმში მუშავდება იაღლუჯას შხამ-ქიმიკატების პოლიგონის რემედიაციის სამოქმედო გეგმა. შესწავლილი დაშეფასებულია იაღლუჯას შხამქიმიკატების პოლიგონი. შემოღობილია სამარხის ტერიტორია ფართობით 43ა. საიტის რემედიაციისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის შემუშავდა სამი კონცეპტუალური სცენარი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდა იაღლუჯას მოდ-პესტიციდების (მდგრადი ორგანული დამაბიძურებლები) ნაგავსაყრელზე 230 ტონა პესტიციდის მოგროვება, შეფუთვა და გატანა ბელგიასა და საფრანგეთში გაუვნებლების მიზნით. განხორციელდა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

**პროექტი “ვადაგასული პესტიციდების ლიკვიდაციისა და ხელახალი დაგროვების თავიდან აცილების პოტენციალის გაძლიერება, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე გამოუყენებელი საშიში ქიმიური ნივთიერებების რეგულირების მოდელი“**

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ვადაგასული პესტიციდების ინვენტარიზაცია, ჩატარებული ინვენტარიზაციის საშუალებით იდენტიფიცირებულია ვადაგასული პესტიციდები. გაიმართა ცნობიერების ამაღლების მართვის კამპანიები ფერმერებისათვის პესტიციდების უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებით.

როტერდამის კონვენციის მოთხოვნების აღსრულების მიზნით, ფერმერებისა და მოსახლეობის მიერ შევსებული იქნა შესაბამისი ინციდენტების ფორმები და წარდგენილ იქნა კონვენციის სამდივნოში. მიმდინარეობს პესტიციდებით დაბინძურებული ტერიტორიების იდენტიფიკაცია და პესტიციდების სასიცოცხლო ციკლის შეფასება.

**პროექტი „ინფექციური სამედიცინო ნარჩენების მართვა საქართველოში“**

პროექტი ითვალისწინებს კერძო სექტორის დახმარებას ინფექციური სამედიცინო ნარჩენების გაუვნებელყოფის სფეროში და შესაძლებლობების გაძლიერებას.

დასრულების ფაზაშია ჰოლანდიური არასამთავრობო ორგანიზაციის ”Ameco International“-ს მიერ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი თბილისში და სამტრედიამი 2 თანამედროვე ინსინერატორის მოწყობის სამუშაოები, რომლებიც მოემსახურება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს და მოახდენს ინფექციური სამედიცინო ნარჩენების გაუვნებელყოფას გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად.

**პროექტი „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR)“**

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას ნარჩენების მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბებაში საქართველო-ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების და საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. პროექტი ხორციელდება საქართველოს 2 რეგიონში – კახეთი და აჭარა. სამიზნე რეგიონების შერჩეულ მუნიციპალიტეტებში ხორციელდება პილოტური ღონისძიებები ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნარჩენების მავნე ზემოქმედებისა და ნაგავსაყრელებიდან სათბური აირების შესამცირებლად. ჩატარდა სემინარები და შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებული

მხარეებისთვის ნარჩენების ინტეგრირებული მართვის თემაზე ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მოხდა ნარჩენების შეგროვების სერვისის დაფარვის არეალის და ნარჩენების განთავსების სპონტანური ადგილების ინვენტარიზაცია. დაიწყო მუშაობა გურჯაანის ნაგავსაყრელის დახურვის გეგმაზე.

**პროექტი „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (POPs) შესახებ სტოკჰოლმის კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული საქართველოს ეროვნული საიმპლემენტაციო გეგმის განხილვა და განახლება“**

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (მოდ) მართვისთვის ეროვნული ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება, არსებული (თავდაპირველი) და ახალი მოდ-ების ხელახალი ინვენტარიზაცია და მათი ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზემოქმედების შეფასება და არსებული გეგმის განხილვა, განახლება და დამტკიცება ახალი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (მოდ-ების) გათვალისწინებით.

**პროექტი „ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობა „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციის მიზნით და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება მის აღსასრულებლად“**

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია-საქართველოში ვერცხლისწყლის მარაგების შესახებ ეროვნული ანგარიშისა და შეფასების პირველადი ანგარიშის შექმნა,-საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გარემოსა და ჯანმრთელობაზე ვერცხლისწყლის ზემოქმედების შესახებ.

ასევე, ქვეყანაში ვერცხლისწყლის მართვის ინსტიტუციური შეფასება, პოლიტიკისა და სამართლებრივი ნორმების შეფასება, უწყებრივ საჭიროებათა დადგენა. ამ ღონისძიებების განხორციელება საქართველოს მთავრობას შესაძლებლობას მისცემს, დაადგინოს სახელმწიფოს მოთხოვნები და საჭიროებები „მინამატას კონვენციის“ რატიფიკაციისთვის და დაიწყოს მუშაობა მის აღსასრულებლად.

## ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვა

- 2013 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შეიქმნა ბუნებრივი და ანთროპოგენული საფრთხეების მართვის სამსახური;
- 2013 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გაიმართა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ”სამრეწველო ავარიების

ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ” კონვენციის ექსპერტების სამუშაო შეხვედრა კონვენციის მიზნების, ვალდებულებებისა და აღსრულების მექანიზმების წარმოდგენა; განხილული იქნა კონვენციასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა: 1. საშიში საქმიანობების იდენტიფიცირება და შეტყობინება; 2. პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და ქმედითი დახმარების მექანიზმები; 3. საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობა. კონვენციასთან დაკავშირებული აღნიშნული საკითხების განხილვის შემდგომ ეროვნული ექსპერტების მიერ შემუშავებულ იქნა თვითშეფასების დოკუმენტი და შესაბამისი მოქმედებათა გეგმა;

- 2013 წელს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის, ”გადავარჩინოთ ბავშვები“-ს და „არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი“-ს საქართველოს წარმომადგენლობის მიერ თანამშრომლობის თაობაზე. მემორანდუმი ითვალისწინებს კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლების სფეროში თანამშრომლობას პოლიტიკის შემუშავებას და სამცხე-ჯავახეთის რეგიონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბავშვო ბაღების თანამშრომლების შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებას. კატასტროფების რისკების შემცირების საკითხებში მოაზროვნეთა გუნდის შეხვედრების ორგანიზების ფუნქცია გაეროს განვითარების პროგრამიდან გადაეცა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. ბუნებრივი და ანთროპოგენული საფრთხეების მართვის სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნული ვალდებულების განხორციელებას და კოორდინირებას გაუწევს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას;
- გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით, 2013 წელს შეიქმნა ინტერნეტ-გვერდი/ელექტრონული მონაცემთა ბაზა “ვინ, რას, სად აკეთებს კატასტროფების რისკის შემცირების კუთხით საქართველოში“ ([www.3w.org.ge](http://www.3w.org.ge)). მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებას ახორციელებს ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების მართვის სამსახური. აღნიშნული ინტერნეტ-გვერდის საშუალებით შესაძლებელია საქართველოში კატასტროფების რისკების შემცირების სფეროში ყველა ჩართული უწყების მიერ გაწეული საქმიანობის ასახვა;

- დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის პროცესში ჩართვით 2013 წელს მომზადდა და გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისს წარედგინა ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო პროგრამის 2011-2013 წლების განხორციელების ეროვნული ანგარიში;
- 2013 წელს განხორციელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფაქტების დამდგენი მისიის “შესაძლებლობები - კატასტროფების რისკის შემცირების ინიციატივისათვის” (CADRI-Capacity for Disaster Risk Reduction Initiative) ვიზიტი საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული შესაძლებლობების შეფასებას კატასტროფების რისკის შემცირების სფეროში და შემდეგ ეტაპზე კატასტროფების რისკის შესამცირებლად ეროვნულ მოქმედებათა გეგმის შემუშავებას;
- 2013 წელს კატასტროფების რისკების შემცირების საკითხებში მოაზროვნეთა გუნდის შეხვედრების ორგანიზების ფუნქცია გაეროს განვითარების პროგრამიდან გადაეცა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. ბუნებრივი და ანთროპოგენული საფრთხეების მართვის სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნული ვალდებულების განხორციელებას და კოორდინირებას უწევს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას.
- 2014 წელს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით დაიწყო კატასტროფების რისკის შემცირების პროექტის ”პრევენცია და მზაობა ეროვნულ დონეზე” მეორე ფაზის (2014-2015) განხორციელება, პროექტის ბიუჯეტი შეადგენს CHF 625'000 შვეიცარულ ფრანკს. პროექტის ფარგლებში შვეიცარული გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, მესტიის რაიონში განხორციელდება ბუნებრივი კატასტროფების რისკების იდენტიფიცირებისა და მოწყვლადი ტერიტორიების პრიორიტეტიზაციისათვის დამცავი ღონისძიებების გასატარებლად, რისკების რუკების შედგენა და რენტაბელობის (cost benefit ) ანალიზი; ბიოინჟინერიის კომპონენტის გამოყენებით იდენტიფიცირებულ ტერიტორიებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
- 2014 წელს დარიალის ხეობაში დევდორაკის ღვარცოფით გამოწვეულ მოვლენებთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ ინიცირებულ იქნა ევროკავშირში არსებული სამოქალაქო თავდაცვის რეაგირების მექანიზმის გამოყენება არსებული პრობლემის შეფასებისათვის; ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფმა გარემოს ეროვნული სააგენტოს ექსპერტებთან ერთად შეაფასა მომხდარი



ბუნებრივი მოვლენები და შეიმუშავა გასატარებელი ღონისძიებებისათვის რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც ადგილზე დამონტაჟებულია ადრეული შეტყობინების სისტემა;

- 2014 წელს ჩეხეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით შეთანხმდა საბოლოო საპროექტო დოკუმენტი - შესაძლებლობების გაძლიერება “დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკა” (2014-2016; ბიუჯეტი - 400.000 ევრო). პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ევროკავშირის შესაბამისი დირექტივისა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციების შესაბამისად ახალი კანონპროექტის შემუშავება დიდი სამრეწველო ავარიების სფეროში; ქიმიური მონიტორინგის სისტემის გაძლიერება; სამრეწველო ავარიების პრევენციისათვის მეთოდოლოგიების შემუშავება, სამრეწველო ავარიების რისკის შეფასების მეთოდოლოგიები და შემოწმების ფორმები (გარემოს დაცვის ინსპექტორატისთვის); პერსონალის სწავლება (საწარმოო უსაფრთხოების ანგარიშები; შემოწმების ფორმები); გარემოს დაცვის ინსპექტორატის სწავლება (დიდი სამრეწველო ობიექტების შემოწმების სფეროში);
- 2014 წელს სამინისტროს მიერ ინიცირებულ იქნა გაეროს ფაქტების დამდგენი მისიის ვიზიტი საქართველოში და მომზადდა ”კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობის შეფასების შესახებ” ანგარიში საქართველოსათვის, რომელიც ემყარება კატასტროფების რისკის შემცირების ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩო-პროგრამას (2005-2015);
- 2014 წელს სამინისტროს ინიციატივითა და ეუთოს მხარდაჭერით საერთაშორისო და ეროვნული ექსპერტების მონაწილეობით განხორციელდა პროექტი (მაისი-ივნისი. ბიუჯეტი 50.000 ევრო) დარიშხანშემცველი ნარჩენების გაუვნებელყოფისათვის ლენტეხის რაიონში (ცანა1,2,3). პროექტის ფარგლებში მომზადდა ორი სარკოფაგის მშენებლობის პროექტისა და განსახორციელებელი ადგენითი სამუშაოების გეგმა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით შესაბამისი დაფინანსების მოსაძიებლად;
- 2014 წელს ჰოლანდიის მთავრობასთან ხელმოწერილ იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი პროექტის ” დარიშხანშემცველი ნარჩენების მართვა საქართველოში” განხორციელებისათვის. რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ სარკოფაგს ამროლაურის მუნიციპალიტეტში (ურავი2) და ასევე შემოიღობა ლენტეხის რაიონში (ცანა 2,3) საიტები. ამბროლაურის რაიონში 2015 წელს დასრულდება ორი სარკოფაგის მშენებლობა (ურავი1, ურავი 3), სადაც

განთავსდება არსებული დარიშხანშემცველი ნარჩენები, დაბინძურებული ნიადაგი და ინერტული მასალა (ურავი1,3,4); პროექტის ბიუჯეტი დაგეგმილი საქმიანობისათვის: ჰოლანდიის მთავრობა - 517.996,00 ევრო; საქართველოს თანამონაწილეობა - 141,144.10 ევრო;

- 2014 წელს დაიწყო მუშაობა ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან მემორანდუმი-ხელშეკრულების პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს ღუშეთის მთიან რეგიონში საავტომობილო გზის და გაზსადენის გასწვრივ ჩეხეთის მხარის დაფინანსებით მოსახლეობისთვის საშიში ღვარცოფების, მეწყერის და ზვავების მხრივ სენსიტიური უბნების იდენტიფიცირებას, GIS სისტემაში რუკების შექმნას, მონიტორინგის მოწყობილობების ინსტალაციას და მის ადრეულ შეტყობინების სისტემაში ჩართვას, მიღებული მონაცემების ანალიზის პროგრამის ინსტალაციას სერვერში და მინიმუმ 10 სპეციალისტი/ანალიტიკოსის მომზადებას. აღნიშნული საპილოტე პროექტის მიმდინარეობა განსაზღვრულია 2014-2016 წლებისთვის და წარმატების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება აღნიშნული პროექტის სხვა რეგიონში განხორციელება.

## კლიმატის ცვლილება

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის შესაბამისად, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული „ეკონომიკის დარგებისა და ეკოსისტემების ადაპტაციის ეროვნული გეგმის“ და „დაბალემისიანი განვითარების ეროვნული სტრატეგიის“. მომზადებისა და განხორციელების, ასევე კლიმატის ცვლილების შემარბილებელი და საადაპტაციო ღონისძიებების ჩატარების მიზნით, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის შესაბამისად, მზადდება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული „ეკონომიკის დარგებისა და ეკოსისტემების ადაპტაციის ეროვნული გეგმა“ და „დაბალემისიანი განვითარების ეროვნული სტრატეგია“. გამოთვლილ იქნა სათბურის გაზების ემისიები სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორებიდან „საბაზისო დონის“ შემთხვევაში.

2013- 2014 წლებში განხორციელებული სხვა ღონისძიებები

- კლიმატის ცვლილების შესაფასებლად კახეთის სადგურებისთვის (საგარეჯო, თელავი, დედოფლისწყარო, ყვარელი, გურჯაანი), ქვემო ქართლის ორი სადგურისათვის (ბოლნისი, გარდაბანი), შიდა ქართლის ორი სადგურისათვის (გორი, ხაშური), იმერეთის ორი სადგურისათვის (ქუთაისი, სამტრედია) და აჭარის ორი სადგურისათვის (ბათუმი,



ხულო) ჩატარდა გამოთვლები 1971–2010 წლების მონაცემებზე დაყრდნობით. ყოველი თვისათვის განხილული იქნა საშუალო თვიური ტემპერატურები და ტემპერატურის თვის აბსოლუტური მაქსიმუმები და თვის აბსოლუტური მინიმუმები. 2020–2100 წლებისათვის გაითვალა ტემპერატურის პროგნოზი და შეფასდა ის საზღვრები, რომლის ფარგლებს 95%-იან ალბათობით არ გასცდება. სადგურ დედოფლისწყაროსთვის გაითვალა აგრეთვე 1971-2010 წლების ნალექების ყოველთვიური ჯამები და ათწლიანი საშუალო მცოცავი მნიშვნელობები.

- მომზადდა „საიდენტიფიკაციო ფორმა“ პროექტისათვის „ორწლიური განახლებული ანგარიში“;
- 5 შერჩეულ სკოლაში (4 საჯარო და 1 კერძო) განხორციელდა კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლების საპილოტე პროგრამა;
- სგმ პროექტებისათვის ელექტროსისტემის ემისიის ფაქტორის გამოსათვლელი სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად იქნა გამოთვლილი საქართველოს ელექტროსისტემის ემისიის ფაქტორის მნიშვნელობა 2007–2012 წლების მონაცემებზე დაყრდნობით;
- ჩატარდა „მწვანე ქალაქები: ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ბათუმში და აჭარაში“ პროექტის „საიდენტიფიკაციო ფორმის“ რედაქტირება;
- დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის მომზადების მიზნით 2014–2030 წლებისათვის პროგნოზირებული იქნა მაკროეკონომიკური პარამეტრები: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მუდმივ და მიმდინარე ფასებში, მშპ რეალურის ზრდის ტემპი, ასევე ელექტროენერჯის მოხმარება; დროის იმავე პერიოდისათვის შეფასდა "სათბურის გაზების" ემისიები მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორებიდან, დაიგეგმა ემისიების შემამცირებელი ღონისძიებები;
- სამსახური ასრულებდა „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის“ საკოორდინაციო კომიტეტის სამდივნოს ფუნქციას;
- შემუშავდა კლიმატის ცვლილების ახალი ხელშეკრულებისათვის საქართველოს სავარაუდო ვალდებულების ამსახველი დოკუმენტის „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ შესაქმნელად;
- მომზადდა მასალები გერმანიის ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (KfW) მიერ ჰიდროენერჯეტიკასთან დაკავშირებული „ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედებების“ (Nationally Appropriate Mitigation Actions – NAMA/“ნამა“) წარსადგენად;
- კლიმატის ცვლილების შესაფასებლად ცალკეული სადგურებისთვის ჩატარდა ნალექების რაოდენობის გამოთვლები 1971–2010 წლების მონაცემებზე დაყრდნობით. გაანალიზდა

ნაღებების ცვლილების ბუნება; სგმ პროექტებისათვის ელექტროსისტემის ემისიის ფაქტორის გამოსათვლელი სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად იქნა გამოთვლილი საქართველოს ელექტროსისტემის ემისიის ფაქტორის მნიშვნელობა 2007–2012 წლების მონაცემებზე დაყრდნობით;

- სამსახური ასრულებდა სუფთა განვითარების მექანიზმის (სგმ) ეროვნული პასუხისმგებელი ორგანოს სამდივნოს ფუნქციებს. კონსულტაციები გაეწია სგმ პროექტების მფლობელებს მონიტორინგის ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებში; 2013 წელს დარეგისტრირდა 3 სგმ პროექტი.
- მომზადდა პროექტის „ორწლიანი განახლებული ანგარიში“, დოკუმენტი, რომელიც მოწონებული და დამტკიცებული იქნა გლობალური გარემოს დაცვის ფონდის საბჭოს მიერ;
- 2013 წლიდან ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (გგფ) ფინანსური მხარდაჭერით პროექტი „ბიომასის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში“ ; პროექტი მიმდინარეობს სამინისტროს ზედამხედველობით;
- გლობალური გარემოს დაცვის ფონდის საბჭომ დაამტკიცა პროექტი „მწვანე ქალაქები: ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ბათუმში და აჭარაში“;
- 2013 წლიდან დაიწყო ადაპტაციის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვის კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის შემუშავება/დანეგვა მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად საქართველოში“, განხორციელება.
- ავსტრიის მთავრობის დახმარებით განხორციელდა პროექტი „ბორჯომი ტყეების ადაპტირებადი მდგრადი მართვა“;
- მომზადდა „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების პროექტის“ დოკუმენტი;

## გარემოსდაცვითი ზედამხედველობა

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას. 2013 წლის 14 მაისიდან გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. საქმიანობის პიორიტეტულ მიმართულებებად დაისახა:

- გარემოს დაბინძურების, ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა; გარემოს დაცვის სფეროში გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების პირობების შესრულების კონტროლი.

გამომდინარე იქიდან, რომ წლების მანძილზე სანებართვო/სალიცენზიო პირობების სისტემატიური, გეგმაზომიერი შემოწმებები არ ხორციელდებოდა, 2013-2014 წლებში სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესრულების გეგმიური და არაგეგმიური შემოწმებების განხორციელების შედეგად, გამოვლენილი გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

### გამოვლენილი სამათალდარღვევები

2013-2014 წლების განმავლობაში, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 12 925 ფაქტი გამოვლინდა. მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 12 417 ფაქტი;
- სისხლის სამართლის ნიშნების – 508 ფაქტი.

ჯარიმები და ზიანი:

2013-2014 წლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 6 139 220 ლარი.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 403 784 729 ლარი

ცხელი ხაზი:

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მიღებისა და რეაგირების, ასევე გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების მიზნით:

2014 წლიდან ამოქმედდა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული 24-საათიანი სატელეფონო კავშირი - ცხელი ხაზი 153. სულ, „ცხელ ხაზზე“ შემოვიდა 2163 ზარი:

- 1255 ზარი - ინფორმაციული ხასიათის, რომელზეც გაეცა შესაბამისი პასუხი;
- 437 ზარი - გადამისამართდა კომპეტენციის შესაბამისად;
- 471 ზარი - შეტყობინება სამართალდარღვევის თაობაზე, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, რაზედაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა რეაგირება.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით:

- მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, საქართველოს კანონებში - „გარემოს დაცვის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ - ცვლილებების შესახებ; შემუშავდა და დამტკიცდა სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი.
- დეპარტამენტის თანამშრომელთა უწყვეტი სწავლება/კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით:
  - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან თანამშრომლობით (მხარდამჭერი - USAID/HICD PLUS პროექტი), შემუშავდა სასწავლო პროგრამის მოდულები ინსპექტორებისთვის, რომლის საფუძველზეც განხორციელდა სწავლება. სწავლებას გაივლის ყველა ინსპექტორი;
  - მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელოები, ინსპექტირების სექტორული გზამკვლევები და შემოწმების კითხვარები, კვალიფიციური ინსპექტირების ჩატარების მიზნით.
- პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით რეგულარულად მიმდინარეობდა რეგულირების ობიექტების საქმიანობის დათვალიერება-შესწავლა. მათ შორის, გატარდა პრევენციული ღონისძიებები:
  - წიაღის უკანონო სარგებლობისა და გადამუშავების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით;
  - სასარგებლო წიაღისეულის გამამდიდრებელი საწარმოების საქმიანობის დათვალიერება/შესწავლის მიზნით;
  - სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენის უკანონო მოპოვების აღკვეთის მიზნით;
  - უკანონო ხე-ტყის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების აღკვეთის მიზნით. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების ხელშეწყობის მიზნით:
- განხორციელდა ღონისძიებები ბიზნესის ინფორმირებულობის ასამაღლებლად:
  - მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემაში დაინერგა ხე-ტყის დამზადების ლიცენზიანტების ინფორმირებისა და ვალდებულებების შესრულების შეტყობინების სისტემა;
  - დაიწყო მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოების ელექტრონული მართვის სისტემის შემუშავება, რომელიც უკვე მზადაა ტესტურ რეჟიმში ასამოქმედებლად. მზადდება საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი. შედეგად, დაწესდება ანგარიშგების ელექტრონული, ხელმისაწვდომი და გამარტივებული პროცედურები, გაუმჯობესდება სახელმწიფო კონტროლი და აღრიცხვიანობა მრგვალი ხე-ტყის (მორის) წარმოშობიდან მის გადამამუშავებამდე.
- შემუშავდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სალიცენზიო პირობების შესრულების ანგარიშების სტანდარტული ფორმები, დაიწყება მუშაობა ლიცენზიანტთა ანგარიშგების ელექტრონული სისტემის შესამუშავებლად და დასაწერად.

- მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო ბუკლეტები, რომელთა მიზანია საზოგადოებამ და მათ შორის, მეწარმეებმა მიიღონ მეტი ინფორმაცია გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის შესახებ.
- რეგულირების ობიექტებს, რომლებსაც გააჩნიათ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროები, გაეწიათ კონსულტაციები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის მონაცემების მიღება-შეთანხმების მიზნით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაეგზავნათ საინფორმაციო წერილები:
  - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღების პროცედურებისა და სავალდებულო გარემოსდაცვითი მოთხოვნების თაობაზე;
  - ადგილობრივი თვითმმართველობის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოპოვებისა და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების წესების თაობაზე;
  - სამთო-მომპოვებელი ბიზნესის წარმომადგენლებს გაეწიათ კონსულტაციები გარემოს დაცვის სფეროში მოქმედ რეგულაციებთან დაკავშირებით, რომლის მიზანია დაეხმაროს ბიზნეს-სექტორს გარემოსდაცვითი ვალდებულებების გაცნობიერებასა და შესრულებაში. 2015 წლიდან დაგეგმილია დეპარტამენტის სტრუქტურული ოპტიმიზაცია, კერძოდ:
- ახალ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფების - ნარჩენების კონტროლისა და ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კონტროლის განყოფილებების შექმნა;
- ახალი ტერიტორიული სამსახურების შექმნა - დეპარტამენტის ტერიტორიული სამსახურების სამოქმედო ტერიტორიების სიდიდის გათვალისწინებით და პრობლემური ტერიტორიების უკეთ გაკონტროლების მიზნით;
- სწრაფი რეაგირების მობილური ჯგუფების, ინსპექტორთა რიცხოვნობის გაზრდა და სათანადო აღჭურვა, რაც უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა პრევენციას, დარღვევათა შემაკავებელი გარემოს შექმნას.
- დეპარტამენტის შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით იგეგმება ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა;
- მცურავი საშუალებები, მათ შორის, შიდა წყალსატევებზე ბრაკონიერობასთან საბრძოლველად; სპეციალური ხელსაწყოები მაღალი რისკის ობიექტების ინსპექტირების მიზნით (ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დახმარებით); ვიდეო-რეგისტრატორები სწრაფი რეაგირების ეკიპაჟებისა და ინსპექტორებისათვის;
- დეპარტამენტის ავტოპარკის განახლება. საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის მიზნით გათვალისწინებულია:
  - გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის საშუალოვადიანი სტრატეგიის მომზადება;
  - ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/35/EC დირექტივის ვალდებულებების შესრულების მიზნით, ეროვნული კონცეფციის



პროექტის შემუშავება „გარემოზე მიყენებული ზიანისათვის ეკოლოგიური პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც საფუძვლად დაედება სამართლებრივი სისტემის, გარემოზე მიყენებული ზიანის შეფასების, აღდგენითი ღონისძიებებისა და კომპენსაციის მეთოდოლოგიის მოდერნიზაციას.

გაგრძელდება ტრენინგები, სემინარები თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით (მ.შ. ნარჩენების მართვის კოდექსისა და ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ საქართველოს კანონით აღებული ვალდებულებების შესრულების ფარგლებში);

## გარემოზე ზემოქმედების ნებართვები

გარემოზე ზემოქმედების არსებული სანებართვო სისტემის გაუმჯობესების, ევროსტანდარტებთან დაახლოებული ახალი სანებართვო რეგულაციების შექმნისა და სექტორული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის შექმნის მიზნით 2014 წლის შემოდგომიდან საერთაშორისო (UNECE) და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით, დაიწყო ახალი კანონპროექტის მომზადება. კანონპროექტის მიზანია გარემოზე ზემოქმედების შეფასების არსებული ნორმების ჰარმონიზება ასოცირების შესახებ შეთანხმების, ასოცირების დღის წესრიგისა და ესპოს კონვენციის (კონვენცია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ) მოთხოვნებთან, ასევე სრულიად ახალი მექანიზმის - გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების - ინიცირება და დანერგვა. „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ კანონპროექტის პირველადი სამუშაო ვერსია შემუშავებულია, ხოლო საჯარო განხილვა დაგეგმილია 2015 წლის მაისში.

გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაექვემდებარება ყველა ის საქმიანობა (მასშტაბისა და კატეგორიის მიხედვით), რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოს მდგომარეობასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე და რომლებიც გათვალისწინებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) დირექტივის პირველი დანართით. ამასთან, უფრო მკაფიო და ეფექტიანი გახდება გარემოზე ზემოქმედების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებშიც აქტიურად მიმდინარეობს.

2014 წლის ბოლოს ნიდერლანდების სამეფოს გარემოს დაცვისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და ნიდერლანდების სამეფოს გარემოს შეფასების კომისიის ორგანიზებით დაიწყო „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA), გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (EIA) და ინსპექტირების საკითხებში“ პროექტის განხორციელება. პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ენერგეტიკის სამინისტროს, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობიერების დონის ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საკითხებში.

2014 წელს დაიწყო გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვის, მშენებლობისა და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და RBM Solution-ის ორგანიზებით პროექტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასება ჰიდროელექტროსადგურებიდან გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედების კუთხით“. პროექტის მიზანს წარმოადგენს ჰიდროენერგეტიკული პროექტებიდან გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედების შეფასების შესახებ მეთოდოლოგიის შემუშავება.

2014 წლის ბოლოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ორგანიზებით ხორციელდება „ელექტროენერგეტიკის სექტორის განვითარების სცენარების სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების“ შესახებ პროექტი. პროექტის მიზანია, დახმარება გაუწიოს საქართველოს მთავრობას ქვეყნის ელექტროენერგეტიკის სექტორის სტრატეგიული განვითარების სცენარების თაობაზე საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებაში. პროექტის ფარგლებში, მომზადდა ტექნიკური დავალება (ToR) და საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ჩატარდა ორი საჯარო განხილვა. ამ ეტაპზე ხორციელდება ტექნიკური დავალების საბოლოო ვერსიის შემუშავება საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისაგან წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით. პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკისა (WB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით.

### 2013- 2014 წელს განხორციელებული სხვა ღონისძიებები

- 2013-2014 წლებში ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობების მიხედვით დეპარტამენტის მიერ გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის 123 დასკვნა;

განხორციელდა დაგეგმილი პროექტებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის/გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე ობიექტების საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის დადგენა, შესაბამის რუკებზე დატანა და მონაცემთა ბაზის შექმნა.

## გარემოს ეროვნული სააგენტო

გარემოს მონიტორინგის სისტემის ეტაპობრივი გაფართოებისა და მოდერნიზების, ასევე ბუნებრივი რესურსების მართვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების სისტემის გასაუმჯობესებლად, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები.

### სერვისები

- შეიქმნა სარგებლობის ლიცენზიების მიღებით დაინტერესებულ პირთათვის ელექტრონული სისტემა, რომელიც მეწარმე სუბიექტებს საშუალებას აძლევს ლიცენზიის მისაღებად შესაბამისი განაცხადი წარადგინონ ელექტრონულად. სისტემის საშუალებით ხდება განაცხადების ელექტრონული აღრიცხვა და საქმის წარმოების შეუფერხებლად წარმართვის სრულყოფილი კონტროლი;
- სარგებლობის ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რისთვისაც სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო ელექტრონული პროგრამა. პროგრამის მეშვეობით კომისიის წევრებს საშუალება აქვთ ონლაინ რეჟიმში განხორციელონ ლიცენზიების გაცემამდე სალიცენზიო ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის მოსმენა, განხილვა და აუქციონის გამოცხადებამდე შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- მომსახურების ვადებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში გაიხსნა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი მომსახურების ცენტრი. ცენტრის მთავარი მიზანია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ერთი ფანჯრის პრინციპის გათვალისწინებით, სააგენტოს კომპეტენციაში შემავალ, მათ შორის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიაწოდოს პირველადი ინფორმაცია, გაუწიოს სათანადო კონსულტაცია და შესაბამისი მომსახურება;
- დაიწყო ახალი მომსახურება, მათ შორის სააგენტოს ფუნქციებში შემავალი სხვადასხვა სერვისების დაჩქარებულ რეჟიმში მომზადება.

## გარემოს მონიტორინგის სისტემები

- მდ. რიონის აუზში წყალდიდობა-წყალმოვარდნებთან დაკავშირებით საქმიანობა გულისხმობს კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის შემუშავებას, მოწყვლადი ტერიტორიების მიმართ (6 მუნიციპალიტეტში: ონი, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი, სამტრედია, წყალტუბო).
- სამიზნე აუზში დღეისათვის დამონტაჟებულია 5 მეტეოროლოგიური სადგური, 20 მეტეოროლოგიური საგუშაგო, 10 ჰიდროლოგიური საგუშაგო; ინკლინომეტრიული ხელსაწყოები (მეწყერების დინამიკის მონიტორინგისათვის) და ჰიდრაველიკური მოდელი (რომელიც დამუშავების პროცესშია) გააუმჯობესებს მონიტორინგისა და პროგნოზირების შესაძლებლობებს. შედეგად ადამიანური მსხვერპლისა და ზარალის შემცირება პრევენციული სამუშაოების ჩატარების ხარჯზე, გაიზრდება მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი;
- ადრეული შეტყობინების სისტემის დანერგვა, ამალი-დევდორაკის ხეობაში, ასევე მდ. დურუჯსა და კაბალზე და 3 უკიდურესად დამაბულ უბანზე, რაც გულისხმობს წყალდიდობის საწინააღმდეგო ადრეული გაფრთხილების სისტემის მონტაჟის უზრუნველყოფას, ზარალის შემცირებასა და სწრაფ რეაგირებას შესაბამისი უწყების მხრიდან. პროექტი გულისხმობს მდ. დევდორაკის ხეობაში ადრეული გაფრთხილების სისტემის დაინსტალირებას; ასევე იგეგმება საქართველოს ტერიტორიის 3 უბანზე ადრეული გაფრთხილების სისტემის მოწყობა (გეომონიტორინგული აპარატურის დამონტაჟება); პარალელურად იგეგმება, მდინარე დურუჯსა და კაბალზე ადრეული გაფრთხილების სისტემის მონტაჟი (წყალმოვარდნების პროგნოზირებისათვის);
- აღნიშნული პროექტების შედეგად მოხდება მოსახლეობის ინფორმირება მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ (კლდე-ზვავ-ქვათაცვენა, ღვარცოფი, მეწყერი, წყალმოვარდნები, წყალდიდობები); შემცირდება ადამიანთა მსხვერპლი და ეკონომიკური ზარალი;
- აგრომეტეოროლოგიური მომსახურების დანერგვა სამ მუნიციპალიტეტში: ზუგდიდი (სიმინდი, ციტრუსი, თხილი, ჩაი); დედოფლისწყარო (საშემოდგომო ხორბალი, მზესუმზირა, ვაზი); ბოლნისი (საშემოდგომო ხორბალი, ვაზი, ბოსტნეულ-ბაღჩეული, სიმინდი). აღნიშნული მომსახურება გულისხმობს: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული სახელმწიფო და კერძო სექტორისთვის სპეციალიზებული აგრომეტეოროლოგიური ინფორმაციის და შესაბამისი აგროტექნიკური სამუშაოების ჩატარების შესახებ რეკომენდაციების მიწოდებას; გაფრთხილებების მიწოდებას სოფლის მეურნეობისთვის მოსალოდნელი არახელსაყრელი ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების შესახებ;

- სამი მუნიციპალიტეტის აგრომეტეოროლოგიური მომსახურეობით უზრუნველყოფის, შედეგად მოხდება გვალვის, სეტყვის და ძლიერი ქარის მიერ სოფლის მეურნეობაზე მიყენებული ზარალის შემცირება. მიმდინარეობს პროექტის საბოლოო დაზუსტება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან;
- თოვლსაზვავე მომსახურეობის დანერგვა გუდაური-კობის მონაკვეთზე გულისხმობს გუდაური-კობის მონაკვეთზე თოვლის ზვავებზე დაკვირვებას (ავტომატური თოვლსაზვავე სადგურის შექმნა/დაინსტალირებას). აღნიშნული სადგურის დაინსტალირება საშუალებას მოგვცემს უარყოფითი შედეგების პრევენცია მოვახდინოთ გზის სხვადასხვა მონაკვეთების ჩაკეტვა/გახსნის დარეგულირებით. (ავტომატურ რეჟიმში შემოსული ინფორმაციის დამუშავება ხდება სააგენტოს სპეციალისტების მიერ და მიიღება პროგნოზი. წინსწრების ვადა დამოკიდებულია მეტეო პროგნოზზე (თოვლის, წვიმის, სეტყვის და ა.შ.); შედეგად, მოხდება სტიქიური მოვლენებით გამოწვეული უარყოფითი მოვლენების თავიდან აცილება/შერბილება (ადამიანური მსხვერპლი, ეკონომიკური ზარალი); აღნიშნული სადგური გულისხმობს სეზონურად, ზამთრის პერიოდში ზვავების/მეწყერის პრევენციას, გუდაური კობის მონაკვეთზე;
- რიკოთი-ტრასეკას გზის უსაფრთხოება (საგზაო მეტეოროლოგია) - პროექტი გულისხმობს საგზაო მეტეოროლოგიის დანერგვას საქართველოში ტრასეკას რიკოთის მონაკვეთზე. პროექტის ფარგლებში დაინსტალირდება 1 საგზაო მეტეოროლოგიური სადგური. საგზაო მეტეოროლოგია საშუალებას მოგვცემს: მივიღოთ დეტალური 10 დღიანი პროგნოზი; გავზარდოთ ტრანსპორტირების უსაფრთხო გადაადგილების ალბათობა; მოხდეს ტრანს-სასაზღვრო ინფორმაციის გაცვლა; პროექტის შედეგად მოსალოდნელია, ტრასეკას გზის რიკოთის მონაკვეთზე რისკების/კატასტროფების შემცირება. არსებული მომსახურების ბენეფიციარი იქნება 900 000 მძღოლი, საგზაო დეპარტამენტი, ტელევიზიები, საინფორმაციო სააგენტოები.
- მიმდინარეობს ზესტაფონში ჰაერის 4 სადგური დაინსტალირება;
- გაიზარდა წყლის და ნიადაგის მონიტორინგის პუნქტები: ზედაპირულ წყალზე - 21 წერტილით, ნიადაგზე - 85 წერტილით. აგრეთვე დაიწყო მიწისქვეშა წყლების ხარისხის კონტროლი 2 ჭაბურღილზე;
- 2014 წელს ამოქმედდა საზღვაო ბიომრავალფეროვნების სადამკვირვებლო სადგური იხტიოლოგიური მონიტორინგისთვის;
- 2014 წელს დაიწყო ზღვის კონტაქტური წყალსატევების (ენგური, ჭოროხი, რიონი, მალთაყვა/პალიასტომი, სუფსა, ხობი) ჰიდრობიოლოგიური და იხტიოლოგიური მონიტორინგი;
- შავი ზღვის სანაპიროზე მიმდინარეობს ნაპირის მორფოდინამიკური პროცესების მონიტორინგი;
- იაპონელ ექსპერტებთან ერთად ქ. ბათუმის სანაპიროზე შეირჩა ადგილი, სადაც დამონტაჟდება ავტომატური სპეციალიზებული საზღვაო ჰიდრომეტეოროლოგიური



სადგური, რაც შექმნის შესაძლებლობას დროულად იქნას პროგნოზირებული შავი ზღვის სანაპიროზე მოსალოდნელი შტორმული პროცესები;

- შექმნილი და დამონტაჟებულ იქნა თანამედროვე მოწყობილობა (პლაზმურ-ემისიური სპექტროფოტომეტრი ICP-OES), რომელიც საშუალებას იძლევა წყლის, ჰაერისა და ნიადაგის სინჯებში მაღალი სიზუსტით განისაზღვროს მძიმე ლითონების შემცველობა;
- დანერგილ იქნა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტები წყალში მავნე ინგრედიენტების განსაზღვრის მიზნით;
- დარიალის ხეობაში, მეტეოროლოგიური პირობების გაუარესების შესახებ წინასწარი გაფრთხილების ეფექტური სისტემის შექმნის მიზნით, დამონტაჟდა ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური. აგრეთვე, ადრეული შეტყობინების მიზნით, ამაღლის ხეობაში მიმდინარე ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ პროცესებზე დაწესდა 24სთ-იანი ვიზუალური მონიტორინგი;
- შეიქმნა ჰაერის ხარისხის კომპიუტერული მოდელი (ADMS-Urban) ქ. თბილისისთვის, რაც ჰაერის ხარისხის ზოგადი შეფასებისთვის ხელსაყრელ (იაფ) საშუალებას წარმოადგენს და ძალზედ მნიშვნელოვანია ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის სამომავლო გაფართოების სწორად დაგეგმვისთვის;
- დაიწყო ქ. თბილისში არსებული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის 3 არაავტომატური სადგურის თანამედროვე ავტომატური გამზომი ხელსაწყოებით აღჭურვის პროცესი (NO<sub>x</sub>, SO<sub>2</sub>, O<sub>3</sub>, PM<sub>10</sub> და PM<sub>2,5</sub>), რაც იმას ნიშნავს, რომ 2015 წლის ბოლოს ქ. თბილისის ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი იქნება სრულად ავტომატიზებული (4 სადგური) და ხელმისაწვდომი გახდება თბილისის ჰაერის ხარისხის შესახებ სრულყოფილი და უტყუარი ინფორმაცია;
- ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის განვითარების სწორად დაგეგმვის მიზნით, საქართველოს 7 ქალაქის (თბილისი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, რუსთავი, ზესტაფონი, ჭიათურა) 63 წერტილში ჰაერის ხარისხის შესაფასებლად განხორციელდა ერთჯერადი ინდიკატორული გაზომვები, შედეგების საფუძველზე მომზადდა საინფორმაციო რუკა და განთავსდა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

### წიადი

- „სასარგებლო წიადისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილები, რომელთა თანახმად აიკრძალა სასარგებლო წიადისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემა შავი ზღვის შესართავიდან 20 კილომეტრის მანძილზე, რაც ხელს შეუწყობს შავი ზღვის ნაპირების (პლაჟების) წარეცხვისაგან დაცვას; ასევე ღვარცოფებისა და მდინარეთა მიმდებარე ტერიტორიების დატბორვის საშიშროების შემთხვევებში, დაშვებულ იქნა მდინარეთა კალაპოტების გაწმენდის სამუშაოების შესრულება მუნიციპალიტეტის მიერ მოძიებული დაინტერესებული

პირების მხრიდან, რაც ხელს შეუწყობს მდინარის კალაპოტების გაწმენდითი სამუშაოების შესრულებას;

- ამ ეტაპზე მიმდინარეობს წიაღის შესახებ საქართველოს კანონისა და ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა სამინისტროს დონეზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ლიცენზიების სახეობების ოპტიმალური დაყოფის საკითხის განხილვა, ამასთან საბადოების რაციონალურად გამოყენების ვალდებულების გაჩენა კანონმდებლობაში (მინიმალური ასათვისებელ ოდენობების დადგენა), ძველად გაცემული და გაჩერებული საბადოების ამუშავების მექანიზმის განხილვა, რაციონალური ათვისების გეგმების შეთანხმების წესის დადგენა, წიაღის მიწის რეგისტრაციების დაწყებისათვის საჭირო საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა. ყველა ლიცენზიანტს, რომელსაც ენიჭება წიაღით სარგებლობის უფლება, შესაბამისი ბრძანებით ევალება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაცვა და მიეთითება ის საკანონმდებლო აქტები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს წიაღით სარგებლობისას. ლიცენზიანტის მიერ უფლებით სარგებლობის კანონიერებას კი გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების საფუძველზე ამოწმებს ზედამხედველობის დეპარტამენტი.
- 2013-2014 წლებში გაიცა 728 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.

## გარემოსდაცვითი განათლება და ინფორმაცია

- გარემოსდაცვითი განათლებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, 2013 წლის მაისში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“. გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით ცენტრი კოორდინირებას უწევს გარემოსდაცვით განათლებას საქართველოში - ჩამოყალიბდა საკოორდინაციო ჯგუფი, შესაბამისი უწყებების(როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო) წარმომადგენლების შემადგენლობით, რომლებიც ჩართულნი არიან გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით.

ცენტრის მიერ 2014 წლის განმავლობაში გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის, პროფესიული კადრების გადამზადებისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერების

მიზნით განხორცილდა ტრენინგები და სემინარები. კერძოდ: ა) „ინსპექტირების პროცედურების და პრაქტიკული ასპექტების ზოგადი კურსი“, ბ) „ტყის მცველების შესაძლებლობების შესაძლებლობების გაძლიერების ზოგადი კურსი“, გ) „ახალგაზრდა სპეციალისტთა ტყის ტაქსაციაში გადამზადება“, დ) სასწავლო ტური სატყეო მიმართულებით სხვადასხვა უწყებებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებისთვის და სხვა.

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, მომზადდა „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის: საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2012-2014 წლებისათვის“, რაც, შესაბამისობაშია გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ სტრატეგიასთან, სამოქმედო გეგმასთან და “განათლება მდგრადი განვითარებისთვის დეკადის” ხედვასა და მიზნებთან. გარემოსდაცვითი განათლების დებულებები, რომელიც აღწერილია ამ დოკუმენტში, ქმნის საფუძველს მდგრადი განვითარებისთვის განათლების კონცეფციის უფრო ფართო მიდგომების დასაწერად, როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით.
- ამჟამად, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშაობს გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლებაზე. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა ეროვნულ სასწავლო გეგმებსა და სტანდარტებზე, რათა საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, 2016 წლის ეროვნული სასწავლო გეგმებსა და კურიკულუმებში სრულყოფილად აისახოს გარემოსდაცვითი კომპონენტი.

### საზოგადოების მონაწილეობა

- 2012 წლის შემდგომ არსებითად შეიცვალა მდგომარეობა საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით, კერძოდ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით არცერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიუღია საჯარო განხილვის გარეშე და ამ შემთხვევაში ორპუსის კონვენციას იყენებს პირდაპირი სამართლის წყაროდ. საჯარო განხილვისათვის ოპერატიულად და საწყის ეტაპზევე ქვეყნდება ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი მაქსიმალურად სრულყოფილი სახით შემუშავება, სამინისტრო პერიოდულად აქვეყნებს გარემოს დაცვის სფეროში განსახორციელებელი პროექტების, პროგრამების, ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და მოუწოდებ საზოგადოებას აქტიურად მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვაში (წარმოადგინოს წინადადებები/მოსაზრებები, შენიშვნები).
- კანონმდებლობით დადგენილ გარკვეულ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით,


სამინისტროს მიერ ოპერატიულად ხდება საჯარო განხილვისათვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების გამოქვეყნება, საზოგადოების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების მიღება და განხილვა. აგრეთვე დაინტერესებულ პირს მომართვის შესაბამისად, ეძლევა შესაძლებლობა, საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენით მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზირება/ნებართვას დაქვემდებარებულ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სამინისტროს მიერ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული მოქმედებები მიმართულია ორჰუსის კონვენციით დადგენილი – გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის საშუალებების რეალიზების უზრუნველსაყოფად და ამ მიმართულებით მუშაობა აქტიურად გრძელდება.

- 2013-2015 წლებში მოეწყო ოთხი დაცული ტერიტორიის (ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები, აჯამეთის აღკვეთილი, მტირალას ეროვნული პარკი, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები) მენეჯმენტის გეგმის საჯარო განხილვა ხოლო სხვადასხვა კანონპროექტთან მიმართებით, მათ შორის „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტებთან დაკავშირებით, ჩატარდა ათამდე საჯარო განხილვა.

2014 წელს გარემოსდაცვითი ინფორმაციის განათლების ცენტრის მიერ გაიმართა საჯარო დისკუსიები საქართველოს კანონის პროექტზე - „ნარჩენების მართვის კოდექსი“, შემდეგ მუნიციპალიტეტებში: დუშეთი, მცხეთა, რუსთავი, კაჭრეთი, საგარეჯო, ბორჯომი, ხაშური, ბაკურიანი, დედოფლისწყარო, გურჯაანი, ქვემო ქართლის მხარე (გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა), ლაგოდეხი, ბათუმი, ქობულეთი, ჩოხატაური, ოზურგეთი, სენაკი, ზუგდიდი, ქუთაისი, ზესტაფონი.

შეხვედრების მიზანი იყო მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის აღნიშნული კანონპროექტის გაცნობა და მათი კომენტარების და შენიშვნების გათვალისწინება. სულ გაიმართა 20 საჯარო განხილვა 25 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისთვის.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. ამ მიმართულებით სამინისტრო გეგმავს და ახორციელებს სამიზნე ჯგუფებზე გათვლილ ღონისძიებებს. საზოგადოების ფართო ფენებისთვის, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისათვის.



### სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები:

მინისტრის აპარატი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

შიდა აუდიტის დეპარტამენტი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტი

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური

ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახური

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური

კლიმატის ცვლილების სამსახური



## საჯარო სამართლის იურიდიული პირები



### სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

საქართველო, 0112 თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150.

ტელ: +995 32 2439503, ფაქსი: +995 32 2439502



### სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

საქართველო, 0114 თბილისი, გ. გულუას ქ. # 6

ტელ./ფაქსი: 2 75 23 53; 2 75 38 87. 153, info@apa.gov.ge



### სსიპ ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა

საქართველი, გარდაბნის რ-ნი, სოფელი სართიჭალა (თბილისი - გომბორის გზატკეცილის 6 კმ)

[info@sanerge.com](mailto:info@sanerge.com)



### სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

საქართველო, 0114 თბილისი, გ. გულუას ქ. # 6



### სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

საქართველო, 0114 თბილისი, გ. გულუას ქ. # 6

ტელ: (995 32) 272 72 85; (995 32) 272 72 87



მომზადებულია

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ

თბილისი 2015